



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



Research

მონის მუნიციპალიტეტის კიჩვედარი და გაღამუშავებული კვების პროდუქტების კლასიფიკაციის დიაგნოსტიკური კვლევა



პი ემ სი კვლევითი ცენტრი



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



Research

ონის მუნიციპალიტეტის



პიჩვედარი და

გაღამუშავებული კვების

კომუნიკაციების კლასიკის

დიაგნოსტიკური კვლევა



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



Research

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა განხორციელდა ევროკავშირის ინიციატივის – „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ონის მუნიციპალიტეტის მერია და პი-ემ-სი კვლევითი ცენტრი.

აღნიშნული დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „პი-ემ-სი კვლევითი ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

1. შესავალი	4
2. მეთოდოლოგია	5
3. პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების წარმოების სექტორი	6
3.1. კლასტერის განსაზღვრა	6
3.2. პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების წარმოების კლასტერის მიმოხილვა.....	7
4. პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	13
4.1. ბრუნვა	13
4.2. დასაქმება	14
4.3. სექტორის სხვა ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	14
5. წარმოების პროცესი	16
5.1. მეცხოველეობა	16
5.2. საკვები პროდუქტების წარმოება	20
6. ბიზნეს პროცესების და კლასტერის ანალიზი	25
6.1. მართვა და სამუშაო ძალა	25
6.2. საწარმოო სათავსოები და ტექნოლოგიები	27
6.3. ინოვაცია	28
6.4. გაყიდვები და მარკეტინგი	29
6.5. ბიზნეს რესურსები	30
6.6. SWOT ანალიზი	31
7. თანამშრომლობა პირველადი და გადამუშავებული საკვები პროდუქტების კლასტერში	35
7.1. კონკურენცია	35
7.2. ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა	35
7.3. დამხმარე ინსტიტუტებს და ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა	36
7.4. კოოპერაციის მატრიცა	38
7.5. კლასტერის რუკა	39
8. ბარიერების და შესაძლებლობების ანალიზი	40
8.1. გამოწვევები	40
8.2. კლასტერში ერთობლივი ქმედებების და თანამშრომლობის პოტენციალი	42
8.3. კლასტერის ხედვა	43
8.4. კლასტერის მიზნები	43

1 შესავალი

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით“ მიზანს წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების ზრდა და ონის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი შედეგების მიღწევას:

- მოსალოდნელი შედეგი 1: ონის მუნიციპალიტეტში 2 ბიზნეს კლასტერის შექმნა (თითოეულში მინიმუმ 15 წევრი მიკრო, მცირე ან საშუალო კომპანია)
- მოსალოდნელი შედეგი 2: კლასტერების და მათი წევრი მცირე და საშუალო კომპანიების უნარების გაუმჯობესება და საპილოტე პროექტების განხორციელება ქვე-გრანტის კომპონენტის საშუალებით
- მოსალოდნელი შედეგი 3: ონის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა განხორციელდა პროექტის „ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით“ ფარგლებში.

შესაბამისი კლასტერების გამოვლენის მიზნით, პროექტის გუნდმა მოახდინა ერთგვაროვან და მომიჯნავე სექტორებში მოქმედი საწარმოების გამოვლენა. საწარმოების შესაბამისი დაჯგუფების შედეგად, დიაგნოსტიკური კვლევებისათვის შეირჩა 4 სექტორი:

- პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტები,
- მსუბუქი მრეწველობა,
- ტურიზმი
- მშენებლობა

პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორი დიაგნოსტიკური კვლევა წარმოგვიდგენს დარგის კომპანიების ბიზნეს ოპერაციების მიმოხილვას, ბიზნეს კავშირებს კლასტერის წევრ კომპანიებსა და პარტნიორ ინსტიტუციებს შორის, კლასტერის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს, მისი განვითარების ხედვას და შესაბამის პრიორიტეტებს.

2 მეთოდოლოგია

პროექტის „ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით“ ფარგლებში, ონის მუნიციპალიტეტის ამავე სექტორის დიაგნოსტიკური კვლევის მიზნებისთვის, კვლევითი ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ძირითადად ემყარება პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს (სექტორისთვის ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებით), ისევე როგორც ხარისხობრივ კვლევას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიაზრებს საველე კვლევას ონის მუნიციპალიტეტში - სიღრმისეულ ინტერვიუებს და ფოკუს ჯგუფ შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებთან. დიაგნოსტიკური კვლევის განხორციელებისას, სულ ჩატარდა 26 ინტერვიუ და 1 ფოკუს ჯგუფ შეხვედრა. დაინტერესებული მხარეების ჩაშლა კი მოცემულია ქვედა ცხრილში.

ცხრილი 1. ჩატარებული ინტერვიუების განაწილება ჩართული მხარეების მიხედვით

ძირითადი კომპანიები და დამხმარე ინსტიტუტები	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა
ძირითადი საწარმოები	16
სექტორის აღმავალი კავშირების აქტორები	2
სექტორის ხელშემწყობი ინსტიტუტები	6
საგანმანათლებლო დაწესებულება	1
ფინანსური ინსტიტუტი	1
სულ	26

3 პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების წარმოების სექტორი

3.1. კლასტერის განსაზღვრა

ონის მუნიციპალიტეტში პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის კლასტერი სულ შედგება 136 საწარმოსგან, რომელთაგან 6 კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, 2 კოოპერატივი და დარჩენილი (128) ინდ.მენარმედ დარეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორი. საწარმოთა ზომას რაც შეეხება, ყველა მათგანი მცირე ზომისაა.

ცხრილი 2. ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის საწარმოთა განაწილება საქმიანობების მიხედვით

საქმიანობა	საწარმოთა რაოდენობა
მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება	88
საცხობი და საკონდიტრო	16
მზა პროდუქტებისა და კერძების წარმოება	2
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვა ჯიშებისა და კამეჩების მოშენება	1
მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება	1
ღორების და გოჭების მოშენება	2
ხორცის პროდუქტების წარმოება	2
შერეული სოფლის მეურნეობა	2
სუნელ-სანელებლების და საკაბმ-სანელებლების წარმოება	1
ვაშლის ძმრის წარმოება	1
ყველის წარმოება	1
ჩირის წარმოება	2
ტყის ველური პროდუქტების შეგროვება (ხე-ტყის გარდა)	1
სულ	136

წყარო: ბიზნეს რეგისტრი და ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაზიარებული ადგილობრივ საწარმოთა ბაზა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზედა ცხრილში საქმიანობის მიხედვით მოცემული საწარმოთა რაოდენობა სრულად არ ფარავს ონის მუნიციპალიტეტში პირველადი და გადამუშავებული კვებითი პროდუქტების სექტორში არსებულ ეკონომიკურ ოპერატორებს, გამომდინარე იქიდან, რომ რიგი საწარმოების საქმიანობა უცნობი იყო ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზაში.

3.2. პირველადი და გადამამუშავებელი კვების პროდუქტების წარმოების კლასტერის მიმოხილვა

კვლევითი ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, პირველადი და გადამამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის კატეგორიაში გაერთიანდა ორი ძირითადი ქვე-სექტორი: მეცხოველეობა და კვების პროდუქტების წარმოება. მეცხოველეობის ქვე-სექტორში ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საწარმოების ძირითადი ეკონომიკური ოპერატორები, და შესაბამისად, ხარისხობრივი კვლევის ფარგლებში დაფარული ადგილობრივი საწარმოები, ძირითადად საქმიანობენ მესაქონლეობის და მეღორეობის მიმართულებებით. კვების პროდუქტების ქვე-სექტორის შემთხვევაში კი, ეკონომიკური აქტორები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ოპერირებენ: მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება, კენკროვანი კულტურა, ვაშლის ძმრის წარმოება, ხილის ჩირის წარმოება, რძის პროდუქტების წარმოება. აღნიშნული ქვე-სექტორები და შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობები შეჯამებულია ქვედა #2 ცხრილში:

ცხრილი 3. პირველადი და გადამამუშავებელი კვების პროდუქტების წარმოება ონის მუნიციპალიტეტში

პირველადი და გადამამუშავებული კვების პროდუქტები
1. მეცხოველეობა <ul style="list-style-type: none">• მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვა ჯიშებისა და კამეჩების მოშენება• მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება• ღორების და გოჭების მოშენება• მეფუტკრეობა
2. კვების პროდუქტების წარმოება <ul style="list-style-type: none">• თაფლის წარმოება• ჩირის წარმოება• ვაშლის ძმრის წარმოება• კენკროვანი კულტურა

საწყის ეტაპზე, კვლევითი ჯგუფის მიერ გაანალიზდა პირველადი და გადამამუშავებული კვების პროდუქტების წარმოების სექტორში ძირითადი ქვე-სექტორებისთვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ გამოქვეყნებული ის რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ონის მუნიციპალიტეტისთვის.

მეცხოველეობა

მეცხოველეობის დარგში, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (385 სულით) შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა და 2040 სული შეადგინა. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია სოფ. ფარახეთში (სოფ. შარდომეთის მახლობლად) და მთლიანი სულადობის 25%-ს შეადგენს.

მეღორეობის მიმართულებით, ონის მუნიციპალიტეტში ღორის სულადობა 2020 წელს, წინა წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და რაოდენობამ 1,565-ი შეადგინა, აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი (29%) კი სოფელ ღარზე მოდის.

2020 წელს ფრინველის რაოდენობამ ონის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2,348 ფრთა შეადგინა, რაც 22%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის, ფრინველის რაოდენობის სიდიდით, ქალაქი ონი (13%) და სოფელი შეუბანი (11%) გამოიკვეთა.

კვების პროდუქტების წარმოება

კვების პროდუქტების წარმოების ქვე-სექტორში, ცხოველის ხორცის წარმოების მონაცემებზე დაკვირვებით, 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში 218 ტონა საქონლისა და 23.9 ტონა ღორის ხორცი აწარმოეს. აღსანიშნავია, რომ საქონლის ხორცის წარმოებით გამოირჩეოდა ასევე სოფ. ფარახეთი (მთლიანი წარმოების 24%) და სოფ. ღები (11%).

ამავე წელს, ქათმის ხორცის წარმოებამ 3.2 ტონა, თხის ხორცის წარმოებამ 1.6 ტონა შეადგინა, ხოლო კვერცხის წარმოებამ 381 ათასი ერთეულს მიაღწია.

2018 წელს რძის წარმოებამ 2679.3 ტონა შეადგინა. ადმინისტრაციული ერთეულების შორის, წარმოების მოცულობის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოფ. ფარახეთში (18%) და სოფ. ღებში (13%) აღმოჩნდა.

რაც შეეხება თაფლის წარმოებას, 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში მთლიანმა რაოდენობამ 35 ტონა შეადგინა. თაფლის წარმოება მოცულობის მიხედვით, განსაკუთრებით მაღალი იყო სოფ. კომანდელსა (მთლიანი წარმოების 10%) და სოფ. შქმერში (10%).

კენკროვანი კულტურების მთლიანი წარმოების მონაცემებზე დაკვირვებით, 2020 წელს, ონის მუნიციპალიტეტში კენკროვანი ხილის სავარაუდო ფართობი 12 ჰექტარი იყო. აქედან 90% მაცვალზე მოდიოდა, რასაც მოსდევდა მარწყვი (6%) და ჟოლო (4%). ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, მაცვლის ფართობი და მოსავლიანობა განსაკუთრებით მაღალი იყო სოფლებისთვის - გომისა და პიპილეთი.


მინის კატეგორიები

საგულისხმოა ონის მუნიციპალიტეტში არსებული მინის კატეგორიებზე დაკვირვება. 2020 წლის მონაცემებით, ონის მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო მიწებმა ჯამში 45 920 ჰექტარი შეადგინა. ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის სასოფლო სამეურნეო მიწების ყველაზე მაღალი წილი (26%) ღებზე მოდიოდა, რასაც მოსდევდა საკაო (13%) და უწერა (7%). აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო მიწების უმრავლესობა საძოვრად (61%) და სათიბად (34%) გამოიყენებოდა. საძოვარი მიწების ძირითად ნაწილს (52%) შეადგენდა ღების, საკაოსა და უწერას მიწები. რაც შეეხება სათიბ მიწებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (44%) მოდიოდა ღებზე, შქმერსა და ჭიორაზე.

წარმოება (ქვეყნის მასშტაბით)

საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მთლიანად წარმოებული თაფლის მოცულობა კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2017, 2018 და 2019 წლებში, ქვეყანაში წლიურად წარმოებული თაფლის მოცულობა სტაბილურად 2.5 ათას ტონას შეადგენდა. თუმცა 2020 წელს, წინა წელთან შედარებით 4%-ი კლება დაფიქსირდა და 2.4 ათასი ტონა შეადგინა. ხოლო 2021 წელს, 2020წელთან შედარებით, მკვეთლი კლება (17%) დაფიქსირდა და სულ 2 ათასი ტონა შეადგინა.


გრაფიკი 1. საქართველოში წარმოებული თაფლის მოცულობა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება ქვეყანაში კენკროვანი ხილის წარმოებას, ბოლო 5 წლის მანძილზე ყველა სახეობის კენკრის მაქსიმალური ჯამური მოცულობა 2021 წელს დაფიქსირდა და 4 ათასი ტონა შეადგინა, რომელთაგან 600 ტონა ჟოლოზე, 1.6 ათასი ტონა მარწყვსა და ხენდროზე, ხოლო 1.8 სხვა დანარჩენი სახეობის კენკროვან კულტურებზე მოდიოდა. საგულისხმოა, რომ 2018 წელს კვეთრად (44%) შემცირდა კენკროვანი პროდუქტების ჯამური მოცულობა წინა წელთან შედარებით. თუმცა ამავე წელს, სხვა სახეობების კენკრებისგან განსხვავებით, მხოლოდ ჟოლოს წარმოებამ აჩვენა ზრდა (33%) და წლიურად 400 ტონა შეადგინა. 2018 დაფიქსირებული კლების შემდეგ, მომდევნო წლები კენკრის ჯამურმა წარმოებამ ზრდის ტენდენცია აჩვენა და 3 წლის განმავლობაში, წლიდან წლამდე, საშუალოდ, 31%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 2. საქართველოში კენკროვანი ხილის წარმოება წლების მიხედვით




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ექსპორტი (ქვეყნის მასშტაბით)

პირველადი და გადამუშავებული კვებითი პროდუქტების წარმოების სექტორში, კვლევითი ჯგუფის მიერ გაანალიზდა თაფლისა და კენკრის ექსპორტის მონაცემები ბოლო 3 წლის განმავლობაში.

2021 წელს საქართველოდან ნატურალური თაფლის ექსპორტის ღირებულებამ 657.3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 436.4%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტირებული ნატურალური თაფლის საშუალო ფასი¹ 32.7%-ით შემცირდა 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით და კგ-ზე 3.8\$ შეადგინა.

გრაფიკი 3. ნატურალური თაფლის ექსპორტი




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვეყნების მიხედვით, ბოლო 5 წლის (2017-2021) მთლიანი ექსპორტის 34% საფრანგეთ-ზე მოდიოდა, რომელსაც მოსდევდა ბულგარეთი (19%), აშშ (7%), იტალია (6%) და აზერბაიჯანი (5%). აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მონაცემებით, ექსპორტირებული თაფლის წონის მიხედვით ბულგარეთსა და საფრანგეთს, რუსეთის ფედერაცია მოსდევს. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაცია, ამავე წელს, ექსპორტის ღირებულების მიხედვით მეათე ადგილს იკავებს, ვინაიდან რუსეთში ექსპორტირებული თაფლის ფასმა 0.75 \$/კგ-ს შეადგინა. აღნიშნული საშუალო ფასი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს. მაგალითისთვის, ყატარსა და ჰონგ-კონგში ექსპორტირებული ნატურალური თაფლის საშუალო ფასები 6.4 და 7.8 \$/კგ-ს შეადგენს (2022 წლის მონაცემები), ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი აშშ-სთვის, კანადისთვის, სინგაპურისთვის, საუდის არაბეთისა და ჩეხეთისთვის, კგ თაფლზე, \$9-\$10 ინტერვალში მერყეობს.

¹ საშუალო ფასი დათვლილია ექსპორტის ღირებულებისა (1000 აშშ დოლარი) და წონის (ტონა) შეფარდებით


გრაფიკი 4. ნატურალური თაფლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება კენკროვან ხილს, 2021 წელს საქართველოდან კენკრის ხილის ექსპორტის ღირებულებამ 6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 48%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს. ზოგადად კენკროვანი ხილის ექსპორტმა 2018 წლიდან მოყოლებული მკვეთრი ზრდის ტენდენცია აჩვენა და წლიდან-წლამდე, საშუალოდ, 138% -ით იზრდებოდა.


გრაფიკი 5. კენკროვანი ხილის ექსპორტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვეყნების მიხედვით, ბოლო 5 წლის (2017-2021) მთლიანი ექსპორტის 87% რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა, რომელსაც მოსდევდა არაბთა გაერთიანებული საამიროები (4%), სომხეთი (3%) და უკრაინა (2%).

გრაფიკი 6. კენკროვანი ხილის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

4.2. დასაქმება

მსგავსად საწარმოთა წლიური ბრუნვისა, ონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა რესპონდენტებმა გაგვიზიარეს ინფორმაცია საწარმოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვების პროდუქტების წარმოების სექტორში, მწარმეების უმეტესობა თვითდასაქმებულია და საქმიანობაში ჩართული მხოლოდ ოჯახის წევრები ჰყავთ. შედარებით დიდი ზომის საწარმოები კი 60-მდე ადამიანს ასაქმებენ. შესაბამისად, კვლევითი ჯგუფის გათვლებით, გამოკითხული საწარმოების საშუალო შეწონილი დასაქმებულების დაანგარიშებით, ისევე როგორც, სულ სექტორში რეგისტრირებული საწარმოების (დღეისთვის სულ 136) გათვალისწინებით³, ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში მთლიანად დასაქმებული ადამიანების რაოდენობა მიახლოებით 440-მდე ადამიანს შეადგენს.

ცხრილი 5. დასაქმებულთა რაოდენობა ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების წარმოების სექტორის კომპანიებში

საწარმოთა ზომა	სულ სექტორში რეგისტრირებული საწარმოები	სულ სექტორში დასაქმებული ადამიანები (გათვლილი)
მცირე	136	440 ⁴

წყარო: სავლე კვლევა

4.3. სექტორის სხვა ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები


სავლე კვლევის განხორციელების ეტაპზე, გამოკუთხულმა რესპონდენტებმა შეაფასეს მათი საწარმოებისთვის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების ცვლილება 3 წლიან ინტერვალში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია გამოკითხული საწარმოების მიერ დაფიქსირებული ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების ცვლილებების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში. აღნიშნული ძირითადად გულისხმობდა შემდეგ პარამეტრებს:

- შემოსავლები
- მოგება
- ექსპორტი
- ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში
- მომხმარებელთა რაოდენობა
- წარმოება
- საწარმოო სიმძლავრე
- პროდუქტთა ასორტიმენტი
- ფასები
- დასაქმება

³ წყარო: ბიზნეს რეგისტრი და ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაზიარებული ადგილობრივ საწარმოთა ბაზა

⁴ სავარაუდო მონაცემი. კვლევით ჯგუფის გათვლები.

გრაფიკი 7. გამოკითხული საწარმოების მიერ დაფიქსირებული ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში



წყარო: საველე კვლევა

მოცემული დიაგრამაზე გამოსახული მონაცემების გაანალიზებისას, საგულისხმოა, რომ მიუხედავად COVID-19 პანდემიის გლობალური კრიზისისა, გამოკითხულთა უმეტესობისთვის ბოლო 3 წლის მანძილზე გაყიდვების მოცულობა, მოგება, წარმოება, მომხმარებელთა რაოდენობა და საწარმოო სიმძლავრე გაიზარდა და ანალოგიური პარამეტრები შემცირდა მხოლოდ უმცირესობისთვის (7%-თვის). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტურმა უმეტესობამ (87%) დაადასტურა ფასების ზრდა მათ საბოლოო პროდუქტებზე ბოლო 3 წლის განმავლობაში, რაც ლოგიკურია თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლებში, ზოგადად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების მკვეთრ მატებას. უმეტეს გამოკითხულ საწარმოში (53%) დასაქმებული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა არ შეცვლილა, თუმცა მათგან, ბოლო 3 წლის განმავლობაში უფრო მეტმა (33%) აიყვანა მამაკაცი თანამშრომელი, ვიდრე ქალი (20%).

და ბოლოს, კვლევითი ჯგუფის მიერ შემუშავებული გზამკვლევი, ეკონომიკური პარამეტრების ტენდენციების ამ ნაწილში მოიცავდა ასევე შეკითხვას ექპორტის დინამიკის შესახებ, თუმცა ის დიაგრამაზე ვერ მოხვდა, გამომდინარე იქიდან, რომ არც ერთ რესპონდენტ მენარმეს ქვეყნიდან ექსპორტი ჯერ-ჯერობით არ განუხორციელებია.

5 წარმოების პროცესი

5.1. მეცხოველეობა

წარმოებული პროდუქცია

მეცხოველეობა ონის მუნიციპალიტეტში, და ზოგადად რაჭის რეგიონში, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითადად დარგს წარმოადგენს და ის ადგილობრივ ფერმერთა და ოჯახური მეურნეობების მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა. როგორც მიმოხილვის ნაწილში აღინიშნა, ონის მუნიციპალიტეტში პირველადი საკვები პროდუქტების ქვე-სექტორში არსებული საწარმოები რამდენიმე ძირითადი მიმართულებით საქმიანობენ: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მერძეული ჯიშების პირუტყვის, ღორების და გოჭების მოშენება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგულისხმოა, რომ მეცხოველეობის დარგში, ონის მუნიციპალიტეტისთვის ამ ეტაპზე ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი), 2020 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 16%-ით შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა და სულ 2040 შეადგინა. სულადობის რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩევა სოფ. ფარახეთი და მთლიანი მაჩვენებლის 25%-ს შეადგენს. აღნიშნული ფაქტი იმით აიხსნება, რომ ფარახეთი სოფელ შარდომეთთან ახლოს მდებარე სოფელია, სადაც რეგიონში ყველაზე დიდი მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა მდებარეობს. რაც შეეხება მერძეულ მიმართულებას, სავსე კვლევის ფარგლებში ჩატარდა კვლევითი ინტერვიუები ოჯახურ მეურნეობებთან, რომლებიც ძირითადად ტრადიციულ უნარებზე დაფუძნებულ საქმიანობას ეწევიან მერძეული პირუტყვის მოვლისა და რძის პროდუქტების წარმოებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის ზოგად გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნატურალური (არააღდგენილი, სალი) რძის დეფიციტი, რაც განხორციელებული სავსე კვლევის ფარგლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთა.

მსხვილფეხა პირუტყვისგან განსხვავებით, მეღორეობის დარგის რაოდენობრივი მონაცემებზე დაკვირვებით, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით სულადობა თითქმის გაორმაგდა და ჯამურად 1,565 შეადგინა, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი (29%) სოფ. ღარში დაფიქსირდა. ეს მონაცემი ლოგიკურია, რადგან სწორედ ამ პერიოდში სოფ. ღარში საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით მეღორეობის ფერმა შეიქმნა.

ონის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის ქვე-სექტორში წარმოებული პროდუქცია აერთიანებთ: ხორცისა და ხორცის პროდუქტებს, რძე და რძის ნაწარმს. საბოლოოდ მიღებული პროდუქცია დეტალურად შეჯამებულია ქვედა ცხრილში.

ცხრილი 6. მეცხოველეობის დარგში წარმოებული საბოლოო პროდუქტები

მეცხოველეობის პროდუქცია
ხორცი და ხორცის პროდუქტები
<ul style="list-style-type: none">• საქონლის ხორცი• ღორის ხორცი• მებოლილი ღორის ხორცი (რაჭული ღორი)• ანტრეკოტი, ბეჭი,• კახური ჯიშის ღორის სუთი• ძეხვი, მშრალად გამოყვანილი• კუპატი, სოსისი, ბეკონი

ცოცხალი ცხოველები

- ცოცხალი ღორი
- ცოცხალი საქონელი

რძე და რძის პროდუქტები

- რძე
- ყველი
- მანონი
- ხაჭო
- არაჟანი

წყარო: საველე კვლევა

წარმოების პროცესი

მესაქონელობა

ონის მუნიციპალიტეტში და ზოგადად რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს ადგილობრივი კლიმატური პირობები, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მრავალფეროვანი ბუნება წარმოადგენს, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის მდგრადი მეცხოველეობის განვითარებისთვის. თუმცა, საველე კვლევის დროს არსებული მიგნებების გათვალისწინებით, სამიზნე რეგიონში მეცხოველეობის მართვის და წარმოების ზოგადი ცოდნა და უნარები გაუმჯობესებას საჭიროებს, რაც უმთავრესად თითოეული ფერმერის ნება-სურვილისგან უნდა მომდინარეობდეს. მერძეული მიმართულებით, რესპონდენტების უმეტესობის წუხილი წარმოებული რძის სიმწირეა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებით, შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს ადგილობრივად ხელმისაწვდომი საკვები ნედლეულის სიმცირე (თივა, ჩალა), რეგიონისთვის დამახასიათებელი მოუხერხებელი რელიეფი და დაბალპროდუქტიული ჯიშების არსებობა.

გამოკითხულთა ნაწილმა სახელმწიფო სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამებით უკვე ისარგებლა, რომელიც მეცხოველეობის წარმოების პროცესის და პროდუქტიულობის გაზრდას ისახავდა მიზნად, თუმცა მათი ინფორმაციით დასახულ შედეგებზე ნაკლებად მოახერხეს გასვლა. მაგალითად, ონის მუნიციპალიტეტში არსებულმა ერთ-ერთმა კოოპერატივმა, 2019 წელს, სოფლის განვითარების სააგენტოსგან გრანტის სახით ყველის წარმოებისთვის საჭირო დანადგარები და ყველის წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა მიიღო, თუმცა, სამწუხაროდ, მათი გამოყენება დღემდე ვერ მოახერხეს. მიზეზად კი რძეზე მწირი ხელმისაწვდომობა დასახელდა, რომელიც აღნიშნული დანადგარების სიმძლავრეებთან თავსებადი დღემდე არ აღმოჩნდა. შედეგად, არსებული საწარმოო სივრცე და გრანტით გადაცემული დანადგარები დღემდე ხელუხლებელია და კოოპერატივის წევრები, კვლავინდებურად, ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ოჯახურ პირობებში ახორციელებენ მცირე რაოდენობის რძის პროდუქტების წარმოებას და ადგილობრივ მოსახლეობაზე რეალიზებას. აღნიშნული წარუმატებელი შემთხვევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ კოოპერატივის მიერ პოტენციურად საწარმოებელი ნედლი რძის მოცულობების გადამეტებული შეფასება და გრანტისთვის წარდგენილ წინადადებაში არსებული ბიზნეს გეგმის რეალობასთან შეუსაბამობა. აღნიშნული გამოწვევა კვლევის ფარგლებში ხშირად იქნა დასახელებული, როგორც რეგიონში სოფლის მეურნეობის ზოგადი ნაკლოვანება, რომელიც საგრანტო აპლიკანტების მიერ გადაჭარბებულად შეფასებულ გათვლებს უკავშირდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, შესაბამისი უწყებების მხრიდან ამ და მსგავსი გრანტის ტიპის პროექტების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ეფექტური გამოყენების აუცილებლობა.

რაც შეეხება მეხორცეული მიმართულების მესაქონელობას, ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ფერმებს შორის მსგავსი სპეციალიზაციით ერთეული საწარმოები ფიქსირდებიან,

რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებული მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა სოფ. შარდომეთში. ეს უკანასკნელი, შვეიცარიული გამოცდილების გათვალისწინებით, რეგიონის გარემო პირობების შესაბამისად, ახორციელებს საქონლის ახალი ჯიშების გამოყვანას. სათავო ფერმაში დანერგილია საქონლის მოვლის, ჰიგიენური დაცვისა და დაავადებათა კონტროლის ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისტემები, რომლის მეთვალყურეობასაც, როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად, შვეიცარიელი პროფესიონალი კონსულტანტები ახორციელებენ. ფერმაში ასევე დანერგილია აგრონომული და ვეტერინარული სამსახური, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ადგილობრივი ფერმერების მომსახურება და მსგავსი ფერმების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში ხელშეწყობა. საწყის ეტაპზე, ფერმის ძირითად საქმიანობას სელექცია წარმოადგენდა, რომლის შედეგად ახალი, ადგილობრივ გარემო პირობებზე მორგებული, სელექციური ჯიშები შეიქმნა. სათავო ფერმაში გამოზრდის ძირითადი ეტაპის გავლის შემდეგ, საქონლის გადაყვანა ხდება სპეციალიზირებულ სასაკლაოზე (ბოინი), რომელიც არსებული თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, ფერმისგან მოშორებით მდებარეობს. მომდევნო პროცესი კი გულისხმობს საქონლის ხორცის პირველად დამუშავებას და ხორცის გადამამუშავებელ საწარმოში გაგზავნას მეორადი დამუშავებისთვის, სადაც ხორციელდება საქონლის ხორცის საბოლოო დამუშავება და ხორცის პროდუქტების სპეციალურ შესაფუთ მასალებში სარეალიზაციოდ მოთავსება.

მელორეობა


მიუხედავად რეგიონის ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ტყის მასივების სიუხვისა, ონის მუნიციპალიტეტში არსებულ რეგისტრირებულ საწარმოებს შორის მელორეობის მიმართულებით სპეციალიზირებული მხოლოდ ერთეული მწარმეები ფიქსირდებიან. აღნიშნული, ძირითადად, შესაძლოა აიხსნას ჯერ კიდევ აქტიური ღორის აფრიკული ჯირის (ცხელება) დაავადების არსებობით, რომელიც დაავადების გავრცელების პრევენციისთვის უსაფრთხოების განსაკუთრებულად მკაცრი ზომების გატარებას საჭიროებს. ასეთი ზომების უზრუნველყოფა კი მხოლოდ თანამედროვედ მოწყობილი და აღჭურვილი ფერმების პირობებშია შესაძლებელი. დაავადების გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს დაავადებული და დაავადებამოხდელი ვირუსმატარებელი ღორი. როგორც სავლელე და სამაგიდე კვლევისას გამოიკვეთა, ღორის დაავადების პრევენციისათვის აუცილებელი ვაქცინა მსოფლიოში ჯერ არ არსებობს, თუმცა ევროპის შესაბამისი სამსახურები ამ მიმართულებაზე აქტიურად მუშაობენ და არსებობს მოლოდინი, რომ მალე ის ხელმისაწვდომი გახდება.

რაც შეეხება ღორებისა და გოჭების არსებულ ფერმებს ონის მუნიციპალიტეტში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გავრცელებული დაავადების მკაცრი პრევენციული ზომების ჩათვლით, ისინი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ოპერირებენ. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებული დაავადების გავრცელების რისკის გამო, ფერმები მუდამ ჩაკეტილ მდგომარეობაშია და ღორების და გოჭების ტყეში გაშვება არ ხდება. ეს უკანასკნელი კი, მელორეობის სექტორის სუსტ მხარეს წარმოადგენს, რადგან, როგორც საერთაშორისო-დაა აღიარებული, ტყის არამერქნული პროდუქტებით გამოკვებილი ღორის ხორცი გაცილებით უკეთესი გემოვნური თვისებებით გამოირჩევა.

ხარისხობრივი კვლევის დროს მიღებული ინფორმაციით, ერთ-ერთ ფერმაში, საწყის ეტაპზე, კახური ღორის იშვიათი ჯიშის შენარჩუნება და გამრავლება განხორციელდა. გარდა ამისა, თანამედროვე სელექციის მეთოდების გამოყენებით, უცხოელი პროფესიონალი ტექნოლოგების ჩართულობით, მოხდა ახალი, გაუმჯობესებული („ჰიბრიდული“) ჯიშების გამოყვანა და გამრავლება, რომლებმაც ფერმაში მანამდე არსებულ ჯიშებთან შედარებით მაღალი პროდუქტიულობა აჩვენა. ფერმაში გამოზრდილი ღორები, მომდევნო ეტაპზე გადაიყვანება ფერმისგან მოშორებით მდებარე სპეციალურ სასაკლაოზე. მომდევნო პროცესი კი გულისხმობს ცხოველის პირველად დამუშავებას და ხორცის მეორად გადამამუშავებელ საწარმოში გაგზავნას. ამ უკანასკნელში კი ხორციელდება ხორცის საბოლოო დამუშავება და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია.

ქვედა დიაგრამა აჩვენებს მეცხოველეობის დარგის ღირებულებათა ჯაჭვის ზოგად პროცესებს დაწყებული ნედლეულის მიწოდებიდან, წარმოების და გადამუშავების, ისევე როგორც გაყიდვების და მარკეტინგის პროცესების ჩათვლით.

დიაგრამა #1: მეცხოველეობის ღირებულებათა ჯაჭვი



გამოყენებული ნედლეული

ონის მუნიციპალიტეტის მეცხოველეობის დარგში გამოყენებული ძირითადი ნედლეული შეჯამებულია ქვედა ცხრილში:

ცხრილი 7: მეცხოველეობის დარგში გამოყენებული ნედლეული

ძირითადი ნედლეული	სხვა ნედლეული
<ul style="list-style-type: none"> • თივა • ჩალა და ნამჭა • სიმინდი • შვრია • ქერი • ჭვავი • ფეტვი • კომბინირებული საკვები (კონცენტრირებული, დამაბალანსებელი) • სამკურნალო პრეპარატები • პროფილაქტიკური პრეპარატები • ცოცხალი ცხოველები 	<ul style="list-style-type: none"> • სხვა მარცვლეული (ცულისპირა, სორგო, მუხუდო, ოსპი) • სოფლის მეურნეობის საკვები ნარჩენი • პრემიქსი (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები) • რძის სანველი აღჭურვილობა • აღჭურვილობა ყველის წარმოებისთვის • ხორცის და რძის პროდუქტების შესაფუთი მასალები

წყარო: სავლე კვლევა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირითადი ნედლეულის სვეტში მოცემული საკვები პროდუქტებიდან, მხოლოდ თივა, ჩალა და ნამჭაა ადგილობრივად ხელმისაწვდომი, თუმცა უმეტესი გამოკითხული ფერმერის წუხილი არასაკმარისი რაოდენობის ადგილობრივ რესურსებს უკავშირდებოდა, რის გამოც თივის შექმნა საქართველოს სხვა რეგიონებიდან უწევთ (ძირითადად ქართლის რეგიონიდან). როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგიონისთვის დამახასიათებელი მოუხერხებელი რელიეფი საძოვრების ეფექტურად გამოყენებას უშლის ხელს. გარდა ამისა, გატყიანების პროცესი, რომელიც, როგორც გამოკითხულმა რესპონდენტებმა განმარტეს, სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, ისედაც მწირ საძოვრებს კიდევ უფრო ამცირებს. მაგალითად, ზემოთაღწერილ შარდომეთის მესაქონლეობის სათავო ფერმას, საკუთარი საძოვრები აქვს ზღვის დონიდან 2300 მეტრზე, სადაც თივის წარმოებასაც ახორციელებს. თუმცა, მათ მიერ მოგროვებული თივის რებერვები ფერმისთვის საკმარისი არ არის და დამატებითი საკვების შექმნას ახორციელებს სხვა რეგიონებიდან.

რაც შეეხება, მარცვლეულს, ადგილობრივი ფერმერების ინფორმაციით, სიმინდის გარდა სხვა პროდუქტები იმპორტირებულია (ძირითადად რუსეთი, უკრაინა თურქეთი) და ისინი შექმნას შუამავლების მეშვეობით ახორციელებენ. სავლეთ კვლევის დროს გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, კომბინირებული საკვები ძირითადად გულისხმობს ამინომჟავების, ვიტამინებისა და მინერალების კომბინაციას, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, პროდუქტიულობას და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებას. კომბინირებული საკვების შექმნა ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებშია შესაძლებელი. მათი უდიდესი წილი იმპორტირებულია, თუმცა საქართველოში წარმოებული კომბინირებული საკვების ხელმისაწვდომია. სამკურნალო და პრევენციული პრეპარატების უმეტესი წილი ძირითადად ევროპის ქვეყნებიდან და თურქეთიდანაა იმპორტირებული, თუმცა მათი შექმნა ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებშიც შესაძლებელია.

5.2. საკვები პროდუქტების წარმოება

წარმოებული პროდუქცია

თაფლის წარმოება

თაფლის წარმოება, და ზოგადად, მეფუტკრეობა, უმნიშვნელოვანესი დარგია რეგიონებში მიკრო და მცირე მენარმეებისთვის შემოსავლის წყაროს შექმნის თვალსაზრისით. გარდა ამისა, იგი სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულის ჯვარედინი დამტვერვისთვის საჭირო საშუალებაა, რომელმაც, ისტორიულად, მცენარეთა ევოლუციის პერიოდში გადამწყვეტი როლი ითამაშა ბუნების რიგი ნაირსახეობების როგორც წარმოქმნის, ისე შენარჩუნების პროცესში.

ონის მუნიციპალიტეტი მეფუტკრეობის დიდი ისტორიის და ტრადიციების მქონე მხარეა, რომელსაც რაჭის ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ტყის მასივების ბიომრავალფეროვნება განაპირობებს. თუ რაოდენობრივ მონაცემებს გავანალიზებთ, როგორც მიმოხილვის ნაწილში აღინიშნა, ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ონის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს წინა წელთან შედარებით ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 16% -ით შემცირდა და 2,840 ერთეული შეადგინა. ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ლიდერობდა შქმერი 340 ფუტკრის ოჯახით (მთლიანი რაოდენობის 12 %), მას მოსდევდა კომანდელი (280 ოჯახი) და პიპილეთი (220 ოჯახი). განზოგადებული სურათისთვის, საქართველოს მასშტაბით წარმოებული თაფლის მოცულობა ბოლო 5 წლის მანძილზე კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით კი კლება 2%-მდე იყო და სულ 2.4 ათასი ტონა შეადგინა.

სავლეთ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა სწორედ მეფუტკრეობის მიმართულებით ოპერირებდნენ. ონის მუნიციპალიტეტის მეფუტკრეთა შორის არიან დარგის სერტიფიცირებული ტრენერები, რომელთაც გადამზადება არაერთი სახელმწიფო, თუ დონორი ორგანიზების პროგრამის მეშვეობით მიიღეს და მათი მზაობა სხვა

ფერმერებისთვის ცოდნის გაზიარების თუ სხვა თანამშრომლური ურთიერთობებისთვის მკაფიოდ გამოიკვეთა. მათი მოსაზრებით, თაფლის წარმოებას ონის მუნიციპალიტეტში დიდი პოტენციალი გააჩნია, რადგან გარდა თაფლისა, რეგიონში არაერთი სხვა ხარისხიანი, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, თუმცა ჯანმთელობისთვის სასარგებლო მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღება შესაძლებელია. მეფუტკრეობის ქვე-სექტორის ძირითადი პროდუქტებად განიხილება: თაფლი, ცვილი, ყვავილის მტვერი, დინდგელი, ფუტკრის რძე და ფუტკრის შხამი.

ონის მუნიციპალიტეტში კვების პროდუქტების სექტორში არსებულ საწარმოებს შორის ერთეულები სპეციალიზირდებიან ჩირის და ვაშლის ძმრის წარმოებაში. აღნიშნული მეწარმეები სრულად ადგილობრივი წარმოების ხილს იყენებენ. საველე კვლევისას გამოკითხული ჩირის მწარმოებელი კომპანია ადგილობრივი ხილისგან, უმეტესად, ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და კომშის ჩირების პროდუქტებს იღებს, თუმცა ბოლო პერიოდში წარმოება მნიშვნელოვნად შეამცირა. მიზეზად ძირითადად COVID-19 პანდემია და შექმნილი კრიზისი დასახელდა. ვაშლის ძმარი, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით საინტერესო ნიშურ პროდუქტს წარმოადგენს. გამოკითხული რესპონდენტის ინფორმაციით, კომპანია 100%-ით ნატურალურ, არარაფინირებულ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს ქმნის. სრული ტექნოლოგიური ციკლი კი მოიცავს მეორადი დაძმარებით მიღებულ ძმრის სხვადასხვა პროდუქტებს: ვაშლის ძმარი, ჟოლოს ძმარი, ღვინის ძმარი, თაფლის და ანწლის ძმარი.

კულტივირებული კენკრის მოყვანა/წარმოებაში სპეციალიზირებული კომპანიების რიცხვი ონის მუნიციპალიტეტში ასევე მცირეა. გამოკითხულმა კომპანიებმა გრანტის სახით სოფლის განვითარების სააგენტოს „დანერგე მომავალი“-ის პროგრამის ფარგლებში მიიღეს მხარდაჭერა ჟოლოსა და მაცვალის მოყვანა-წარმოებისთვის. თუმცა, არცერთ მათგანს მოსავალი ჯერ არ მიუღია.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ველური კენკრისა და ზოგადად არამერქნული ტყის პროდუქტების შეგროვების აქტივობა და პოტენციალი ონის მუნიციპალიტეტში, რომელიც სხვა დარგში სპეციალიზირებულმა რესპონდენტებმა არაერთხელ აღსახელებს. მათი მოსაზრებით, აღნიშნული საქმიანობა სეზონურია (შემოდგომა) და ადგილობრივი ოჯახებისთვის შესაძლოა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდეს. ონის მუნიციპალიტეტში არსებული არამერქნული ტყის პროდუქტები ძირითადად მოიცავს ასკილს, მაცვალს, მოცვს, ველურ ვაშლს (მაჟალო) და სამკურნალო მცენარეები.

საბოლოო ჯამში, ონის მუნიციპალიტეტში საკვები პროდუქტების ქვე-სექტორში წარმოებული პროდუქცია სრულად შეჭამებულია ქვედა ცხრილში.

ცხრილი 8: პროდუქცია, საკვები პროდუქტების წარმოების სექტორი

საკვები პროდუქტების სექტორის პროდუქცია
<p>თაფლის წარმოება</p> <ul style="list-style-type: none"> • თაფლი დაუფასოებელი • თაფლი დაუფასოებელი, ეტიკეტირებული • ცვილი, • ყვავილის მტვერი • დინდგელი • ფუტკრის რძე • ფუტკრის შხამი

ხილის პროდუქტების წარმოება

- ქლიავის ჩირი
- ვაშლის ჩირი
- მსხლის ჩირი
- კომშის ჩირი
- ვაშლის ძმარი
- ჟოლოს ძმარი
- თაფლის ძმარი
- ანწლის ძმარი

კენკრა

- კულტივირებული ჟოლო
- კულტივირებული მაყვალი
- ველური ასკილი
- ველური მაყვალი
- ველური მოცვი
- ველური ვაშლი (მაჟალო)

არამერქნული ტყის პროდუქტები

- ასკილი
- მაყვალი
- მოცვი
- ველური ვაშლი
- სამკურნალო მცენარეები

წყარო: საველე კვლევა

წარმოების პროცესი

თაფლის წარმოების 3 ძირითადი სეზონი არსებობს: გაზაფხული (მაისი), ზაფხული (ივნისი - ივლისი) და ბოლოს, შემოდგომა. მათგან ძირითადი პროდუქტიულობა ზაფხულის სეზონზე მოდის, თუმცა მენარმეები სეზონზე თაფლის ალებისას, ნაწილს სკებში ტოვებენ ფუტკრების ზამთარში გამოსაკვებად. ონის მუნიციპალიტეტში არსებული ფერმერები ძირითადად ვერტიკალურად მოძრავ ჩარჩოებს იყენებენ, რომლებიც მათი ინფორმაციით, ფუტკრის და სკების მოვლას, ისევე როგორც, დაავადებებისგან დაცვის პროცესს აიოლებს.


მეფუტკრეობის დარგში არსებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (UN FAO), წლის მანძილზე თითო სკიდან, საშუალოდ, 15 კგ თაფლი მიიღება. თუმცა, მაგალითად შვედეთსა და გერმანიაში განსაკუთრებით მაღალია ყოველწლიურად სკიდან თაფლის მიღება: 31კგ და 35კგ, შესაბამისად. საველე კვლევის ფარგლებში გამოკითხული მეფუტკრეების ინფორმაციით, საშუალოდ, ერთი სკიდან წლის მანძილზე 10-12 კგ თაფლის მიღებას ახერხებენ. თუმცა როგორც საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რაც უფრო მეტად იზრდება ცოდნის და ტექნოლოგიების გადაცემა ფერმერებისთვის, მით მეტია წარმადობა თითო ოჯახზე. მნიშვნელოვანია, რომ მეფუტკრეობის დარგში ონის მუნიციპალიტეტში არსებული მეფუტკრეების კვალიფიკაციის ამაღლების და არსებული ტექნოლოგიის განვითარების არაერთი პრეცედენტი დაფიქსირდა.

ჩირის წარმოების პროცესი შედგება ნედლეულის (ხილი) მიღებისგან, სორტირებისგან, გარეცხვისაგან, დამუშავებისაგან და შრობისგან. ძმრის წარმოების პროცესის სათავე ცხადია ხილის შესაბამისი პროდუქტების მიღებაა, რომელსაც მოსდევს რეცხვა, სორტირება,

დამუშავება და წარმოება. საბოლოოდ კი, დამუშავებული ხილი, ორეტაპიანი ბიოლოგიური პროცესების გავლით გარდაიქმნება ძმრად. კენკროვანი პროდუქტების კულტივირების პროცესი გულისხმობს ირიგაციას, კრეფას, დაფასობას და რეალიზაციას. არამერქნული ტყის პროდუქტების შემთხვევაში, მთავარი პროცესი შეგროვებაა, რომელსაც მოსდევს შრობა (ზოგი პროდუქტისვის ეს პროცესი არ არეობს - მაგალითად ველური ვაშლის შემთხვევაში), დაფასობა და რეალიზაცია.

ქვედა დიაგრამა აჩვენებს საკვები პროდუქტების სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ზოგად პროცესებს დაწყებული ნედლეულის მიწოდებით, გაგრძელებული წარმოების და დაფასობის, ისევე როგორც გაყიდვების და მარკეტინგის პროცესების ჩათვლით.

დიაგრამა #2 საკვები პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვი



გამოყენებული ნედლეული

ონის მუნიციპალიტეტის საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ძირითადი ნედლეული შეჯამებულია ქვედა ცხრილში:

ცხრილი 9: საკვები პროდუქტების ქვე-სექტორში გამოყენებული ნედლეული

ძირითადი ნედლეული	სხვა ნედლეული
<ul style="list-style-type: none"> • ხილი (ვაშლი, მსხალი, ჟოლო, ანწლი, ყურძენი) • თაფლი • სანერგე მასალა • შესაფუთი მასალები <ul style="list-style-type: none"> ○ მინის ჭურჭელი ○ პლასტმასის კონტეინერები ○ ხუფი ○ ეტიკეტი ○ მუყაოს ყუთი ○ ბიოდეგრადირებადი პარკები • სკა • ჩარჩო • ფიტა • სამკურნალო პრეპარატები • პროფილაქტიკური პრეპარატები 	<ul style="list-style-type: none"> • შემბერი • ექსტრაქტორი-ციბრუტი • სხვა ჭურჭელი • გაფორმებული შესაფუთი მასალები (ნაქარგები ა.შ) • პერსონალური აღჭურვილობა • სხვა სამუშაო აღჭურვილობა

წყარო: სავლე კვლევა

ცხრილში მოცემული ძირითადი ნედლეულის ჩამონათვალში ხილი ადგილობრივი წარმოებისაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სანერგე მასალებით უზღუნველყოფას ძირითადად სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავალი“ უზრუნველყოფს. შესაფუთი მასალებიდან, მინის ჭურჭელი, პეტ კონტეინერები და ხუფები უმეტესად იმპორტირებულ ნედლეულს წამოადგენს, ხოლო ეტიკეტის, ბიოდეგრადირებადი პარკების და მუყაოს ყუთების დამზადება საქართველოში ხორციელდება. რაც შეეხება მეფუტკრეობის ძირითად ნედლეულს, ყველა მათგანი ხელმისაწვდომია ადგილობრივად. მაგალითად სკების შექმნისთვის უახლოესი სავაჭრო ობიექტი ქალაქ ქუთაისში მდებარეობს.

როგორც მეცხოველეობის შემთხვევაში, ასევე საკვები პროდუქტების ქვე-სექტორში სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატების უმეტესი წილი იმპორტირებულია ძირითადად თურქეთიდან, ევროპის და მეფუტკრეობის დარგში შედარებით განვითარებული სხვა ქვეყნებიდან, თუმცა მათი შექმნა ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებში ხორციელდება, შუამავალი სავაჭრო კომპანიებისგან.

6 ბიზნეს პროცესების და კლასტერის ანალიზი

6.1. მართვა და სამუშაო ძალა

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში ძირითადად ინდივიდუალური ფერმერები და ოჯახური მეურნეობებია წარმოდგენილი, რომლებშიც საშუალოდ 2-3 ადამიანია დასაქმებული, თუმცა პერიოდულად, განსაკუთრებით აქტიური სეზონის დროს, ისინი დამატებით მუშახელს ქირაობენ და შრომის მოცულობას მათზე ანაწილებენ. ცხადია, ასეთ მცირე საწარმოებში, წარმოებისთვის, გაყიდვებისა და ზოგადი მართვისთვის საჭირო ყველა ფუნქციას თავად საწარმოს ხელმძღვანელები ითავსებენ. თუმცა შედარებით დიდი ზომის საწარმოებში, ძირითადად მმართველობის იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურაა წარმოდგენილი: სათავეშია მმართველი პარტნიორი, მმართველობითი საბჭო, ან დირექტორი, რომლებიც წარმოების, ხარისხის მართვის, ადმინისტრაციულ, იურიდიულ, ბუღალტერიისა და ფინანსების დეპარტამენტებსა და განყოფილებებს მართავენ. დეპარტამენტებს ჰყავთ ხელმძღვანელები, რომლებიც მმართველ რგოლს ექვემდებარებიან. ასეთი ტიპის საწარმოებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მმართველობის არსებული სტრუქტურა ბოლო წლებში უცვლელია, თუმცა გამონაკლისი შემთხვევაც გამოვლინდა. ერთ-ერთმა, შედარებით დიდი ზომის ფერმამ, არსებული განყოფილებები და დეპარტამენტები (ფერმა, პირველადი გადამუშავება, ბონინი, საწარმო) ცალცალკე კომპანიებად (იურიდიული ფორმით - შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) დაარეგისტრირა და მთლიანი კომპანია ერთ ჰოლდინგად ჩამოაყალიბა. აღნიშნული ქმედებით საწარმოს ადმინისტრაციული ხარჯები 5-6%-ით გაეზარდა, თუმცა, გამოკითხული რესპონდენტის ინფორმაციით, მართვის ეფექტურობა საგრძნობლად გაიზარდა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის მმართველ საბჭოს მიეცა შეაძლებლობა თითოეული განყოფილების ეკონომიკური საქმიანობის უფრო ეფექტური მონიტორინგი განეხორციელებინა.

როგორც ზემოთ აღნიშნა, კვლევით ჯგუფის გათვლებით, ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში სულ რეგისტრირებული საწარმოების გათვალისწინებით, სექტორში მთლიანი დასაქმება მიახლოებით 440 ადამიანს შეადგენს. ამათგან, უმეტეს მენარმეს სამენარმეო საქმიანობაში მუდმივად ჩართული მხოლოდ ოჯახის წევრები ჰყავს და საშუალოდ საწარმოში 2-3, ხოლო შედარებით დიდი ზომის საწარმოებში კი 60-მდე ადამიანი საქმდება.

კვლევით ჯგუფის მიერ განხორციელებული სავსე კვლევის ფარგლებში გამოკითხული საწარმოების სამუშაო ძალის უმეტესობა ქალია და მიახლოებით 55-60% ინტერვალში მერყებს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის⁵ მიხედვით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა შორის 51% ქალია⁶, თუმცა სტრატეგიის დოკუმენტში მოცემული ზოგადი გენდერული სტატისტიკის მიხედვით, კაცებს საქართველოში უფრო მაღალი მენეჯერული პოზიციები უკავიათ და მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ქალებს. გარდა ამისა, მოყვანილი ანალიზი ყურადღებას ამახვილებს ქალთა შეზღუდულ წვდომაზე ისეთ რესურსებთან და პროცესებთან როგორცაა: მიწა, ფინანსები, გადამწყვეტილებების მიღება.

⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია (2021-2017)

⁶ 2015 წლის მონაცემებით

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშეებული კვების პროდუქტების სექტორში, შედარებით დიდი ზომის საწარმოებში, ფიქსირებული და დამატებით წამახალისებელი სახელფასო სისტემაა დანერგული, რაც ცხადია რელევანტური არ არის ინდივიდუალური ფერმერებისთვის და ოჯახური მეურნეობების შემთხვევაში.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი კომპანიის ბაზაზე შექმნილია საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს არამხოლოდ საწარმოში დასაქმებული თანამშრომლების გადამზადებას, არამედ, ადგილობრივი ფერმერებისთვის საერთაშორისო ცოდნისა და ტექნოლოგიების გაზიარებას. ცენტრი არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსითაა რეგისტრირებული, რაც დამფუძნებლებს შესაძლებლობას აძლევს დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. აქტივობებს შორის დასახელდა UNDP-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტები, რომელიც ცენტრმა უკვე განახორციელა. ცენტრის უპირატესობას წარმოადგენს საწარმოს არსებული საერთაშორისო პროფესიონალი ტექნოლოგები და კონსულტანტები, რომლებიც რეგიონში სტუმრობის დროს ატარებენ ტრენინგებსა და მასტერკლასებს იმ დაინტერესებული ფერმერებისთვის, რომლებიც საწარმოს მიერ წინასწარ დაკომპლექტებულ ჯგუფებში მოხვდებიან.

აღსანიშნავია, რომ ონის მეფუტკრეობის დარგში არსებული მეწარმეების უმეტესობამ დააფიქსირა სპეციალიზირებული გადამზადების და თანამშრომლობის გამოცდილება დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ პროგრამებთან. მათ შორის განსაკუთრებით გამოარჩევდნენ აფხაზინტერკონტთან და GRETA-სთან თანამშრომლობას, რომელთა მხარდაჭერითაც შემუშავდა სასწავლო ტრენინგები და გადამზადდა მუნიციპალიტეტში არსებული მეფუტკრეები, ასევე რამდენიმე ფერმერს მიენიჭა სერტიფიცირებული ტრენერის სტატუსი. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მეფუტკრეობის დარგში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის ადგილობრივი დონეზე გავრცელების თვალსაზრისით. ტრენინგების უმეტესობა საკმაოდ ხანგრძლივი იყო (მაგ. ერთ-ერთი 68 დღე გრძელდებოდა), რის გამოც მხარდამჭერი ორგანიზაციები, საწყის ეტაპზე, გადამზადების კურსების წარუმატებლობის ერთგვარ რისკებსაც ხედავდნენ. თუმცა, საბოლოოდ, მიუხედავად გრძელვადიანი და ინტენსიური კურსებისა, მათზე მოთხოვნა ძალიან მაღალი აღმოჩნდა. სავლელე კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ აღნიშნული გადამზადების მიმართ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათივე ინფორმაციით, შეძენილი ცოდნის შემდეგ წარმოების პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაზრდა შეძლეს. აღნიშნული შემთხვევა იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ, ერთი მხრივ, ონის მუნიციპალიტეტში არსებულ მეწარმეებს არ აქვთ მიუღებლობა ახალი ტექნოლოგიებისა თუ ცოდნის მიმართ, და გარდა ამისა, ისინი ენთუზიაზმს იჩენენ გრძელვადიანი და ინტენსიური გადამზადების პროგრამების მიმართ, რომელიც დღეს რეგიონისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

საგულისხმოა, რომ „აფხაზინტერკონტის“ მხარდაჭერით და მონაწილეობით, ონის საჯარო სკოლაში ასევე შეიქმნა აგრო კლუბი - „ონელი მეფუტკრეები“ - და მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთები. გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ აღნიშნული აქტივობების დროს ახალგაზრდებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მეფუტკრეობის მიმართ, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რეგიონში დარგის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქ. ამბროლაურში არსებული პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“, რომელსაც ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული საკვები პროდუქტების სექტორის არაერთ ეკონომიკურ აქტორთან საშუალო და გრძელვადიანი თანამშრომლობა აკავშირებს, მათ შორის მესაქონლეობის, მეფუტკრეობის და სხვა დარგებში დარგებში პროფესიული უნარების ხელშეწყობის მიმართულებით.

პროფესიული განათლების კონტექსტში, გასათვალისწინებელია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივი ინიციატივით, მიმდინარე წლის დასაწყისში შექმნილი „პროფესიული უნარების სააგენტო“. ახლადშექმნილი სააგენტო სწორედ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატს ეფუძნება და მიზნად ისახავს კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით შრომით ბაზარზე

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დანერგვას. თუ ადრე სახელმწიფო განაგებდა პროფესიული განათლების სფეროს, რომელსაც სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და პროფესიული კოლეჯები მართავდნენ, ახალი სააგენტო კერძო სექტორს პროფესიული განათლების პროცესის მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების გადაცემას სთავაზობს. მსგავსი ფუნქციების რეალობაში განხორციელებისთვის სააგენტო უკვე აყალიბებს ე.წ. დარგობრივი უნარების ორგანიზაციებს (დუო-ებს), რომელთაც სექტორის შესაბამისად მიეცემათ აღნიშნული ინსტრუმენტები ქვეყანაში პროფესიული განათლების მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

6.2. საწარმოო სათავსოები და ტექნოლოგიები

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში წარმოდგენილი მენარმეების უმეტესობისთვის არსებული საწარმოო სათავსოები თავსებადია მათ საწარმოო სიმლავრეებთან. თუმცა, კულტივირებული კენკრის მოყვანა/წარმოების ქვე-სექტორის ფერმერებმა მათი განვითარების გეგმებში დაასახელეს სამაცივრე სისტემების შექმნის აუცილებლობა, რაც მათ მიერ წარმოებულ პროდუქციის შენახვის ვადას გაახანგრძლივებს. თუმცა ამჟამად არსებული პლანტაციები, იმდენად მცირე ფართობზეა გაშენებული, რომ სამაცივრე აგრეგატების შექმნის აუცილებლობა მოკლევადიან პერიოდში არ გამოიკვეთა. აღნიშნული საწარმოთაგან, მხოლოდ ერთმა აღნიშნა გამონკვევად შეზღუდული საწარმოო სივრცე, რის გამოც კომპანიას წარმოების პროცესის გამიჯვნა და გადანაწილება უნევს 2 სხვადასხვა ლოკაციაზე. გამოკითხული რესპონდენტის ინფორმაციით, აღნიშნული პრობლემის ამ ეტაპისთვის მოუგვარებლობის მიზეზი ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობაა.

პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში კვლევის ფარგლებში გამოკითხულ უმეტეს მენარმეებს შორის, წარმოების მართვის არსებული უნარები და ტექნოლოგიები მოძველებული და თანამედროვე სოფლის მეურნეობის ტენდენციებთან შეუსაბამოა. მენარმეთა საკუთრებაში არსებული აღჭურვილობა კი გადაიარაღებასა და განახლებას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში, ახალ ტექნოლოგიებზე მიდევნება და შესაბამისად საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებული პროდუქციის წარმოება რთული ამოცანა იქნება. თუმცა, თანამედროვე უნარებისა და ტექნოლოგიების კონტექსტში გამორჩეულია მეფუტკრეობა და დარგში არსებული ფერმერები, რომლებმაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთი გრძელვადიანი და ინტენსიური გადამზადების კურსი გაიარეს და უკვე შეძლეს ფუტკრის მოვლა/მოშენების პროცესების გაუმჯობესება და შესაბამისად წარმოების პროუქტიულობის გაზრდა.

მცირე ფერმებისგან განსხვავებით, შედარებით დიდი ზომის საწარმოების, რომლებიც უცხოელი პარტნიორების თანადაფინანსებით შეიქმნა და საერთაშორისო პროფესიონალი ტექნოლოგების მოთხოვნების შესაბამისად დაპროექტდა და აღიჭურვა, ტექნოლოგიური განვითარება მიახლოებულია საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტებთან, რაც უდიდესი წინაპირობაა ფერმერული საქმიანობის გრძელვადიანი წარმატებისთვის, როგორც ინდივიდუალური ბიზნესისთვის, ისე რეგიონალურ დონეზე.

რაც შეეხება სურსათის უვნებლობის სერტიფიცირებას, სამიზნე სექტორში გამოკითხულ რესპონდენტებს შორის სურსათის უვნებლობის და წარმოების მართვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებთან შესაბამისობა მხოლოდ შედარებით დიდი ზომის საწარმოებში დაფიქსირდა. მაგალითად, ერთ-ერთ საწარმოში საფრთხეების ანალიზის და კრიტიკული წერტილების მართვის (HACCP) სისტემა დაინერგა მანამდე, სანამ სურსათის უვნებლობის საბაზისო სისტემა კანონით გახდა სავალდებულო. აღნიშნული საწარმო ამჟამად ISO 22000-ის დანერგვაზეა ორიენტირებული, რაც ფერმისთვის შედარებით გრძელვადიანი პროცესია. გამოკითხული მცირე საწარმოების აბსოლუტური უმეტესობა პროდუქტის ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატებს არ ფლობს, თუმცა მათი მტკიცებით, საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო შრომის უსაფრთხოების სტანდარტები უმეტეს მათგანს დანერგილი აქვს.

სერტიფიცირების კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ონის მუნიციპალიტეტის, და ზოგადად რეგიონის, პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების პოტენციალს ბიო მეურნეობების განვითარების მიმართულებით. მსოფლიო ბაზარზე ბიო და ორგანულ პროდუქტებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე მზარდია, სადაც ევროპის ბაზარი ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი და მომხმარებელია. 2016-2020 წლებში, ევროპის ორგანული ბაზრის მოცულობა საშუალოდ წლიურად 12%-ით გაიზარდა და 2020 წელს მთლიანმა ბრუნვამ 52 მლრდ ევრო შეადგინა.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ პროდუქტთაგან, ბიო წარმოების განვითარების მხრივ, განსაკუთრებული პოტენციალი რამდენიმე პროდუქტმა აჩვენა: თაფლი და არამერქნული (ველური) ტყის პროდუქტები. აღსანიშნავია, რომ ბიო თაფლის ხელშესაწყობად, დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი არაერთი პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა მუნიციპალიტეტში. შესაბამისი რესპონდენტები გამოარჩევდნენ GRETA-ს პროგრამას, რომელმაც ონის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, და შესაბამისი პროექტები მიმართა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით. პროექტის ფარგლებში, კონკურსით შერჩეულმა რამდენიმე მწარმომ გადამზადების კურსები გაიარეს ბიო თაფლის წარმოებაში. გარდა ამისა, შერჩეულ მეფუტკრეებს გრანტის სახით გადაეცა ბიო წარმოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თაფლის ბიო სერტიფიცირება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. გარდა სხვა ფაქტორებისა, ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო საკითხს წარმოადგენს ბიო ფიტის წარმოება, რომელიც, გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის საქართველოში არ ხორციელდება. აღნიშნული ნაკლოვანების საპასუხოდ, გამოკითხულ მეფუტკრეთა შორის ერთ-ერთს უკვე აქვს შემუშავებული ბიზნეს გეგმა, დონორი ორგანიზაციების მხარდაწერით ბიო სერტიფიცირებული ფიტის საწარმოს შესაქმნელად. ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ინიციატივა დიდ შესაძლებლობას წარმოადგენს სკაში ბიო სერტიფიცირებული თაფლის წარმოების განვითარების თვალსაზრისით არამხოლოდ რეგიონში, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

რაც შეეხება არამერქნულ ტყის პროდუქტებს (ასკილი, მოცვი, მაცვალი მაჭალო, სამკურნალო მცენარეები და ა.შ.), გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროდუქტები, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, დაუმუშავებელ და სუფთა ტყის მასივებში, ხელოვნური ჩარევის გარეშე ვეღურად იზრდებიან, მათი ბიო სერტიფიცირება ნაკლებად რთულ პროცესს წარმოადგენს. სერტიფიკატის აღება განაცხადის გაკეთებიდან 1 წლის პერიოდშია შესაძლებელი, განსხვავებით კულტივირებული კენკრის ან სხვა ხელოვნური ჩარევით მიღებული პროდუქტებისა, რომლებიც ინსპექტირების და შემდგომი სერტიფიცირებისთვის გაცილებით მეტ დროსა და რესურსს საჭიროებენ.

6.3. ინოვაცია

როგორც საუკეთესო საეთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევა-განვითარების (R&D), ინოვაციის და ფერმერთა ინოვაციური უნარების განვითარება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მწარმეების და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. გამოკითხული დაინტერესებული მხარეების მოსაზრებით, ინოვაციაზე დაფუძნებული წარმოების პროცესები ხელს უწყობს ნედლეულის უფრო ეფექტურ გამოყენებას, წარმოების ოპტიმიზაციას და მეტად კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებას.

ინოვაციების კონტექსტში, ჩვენს რესპონდენტებს შორის, შეგვიძლია გამოვარჩიოთ მელორეობის და მესაქონლეობის 2 ფერმა ონის მუნიციპალიტეტში, რომლებიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, შვეიცარიელი და ესპანელი პარტნიორების თანამონაწილეობით დაფუძნდნენ. ორივე მათგანმა, საწყის ეტაპზე ოპერირება ცხოველთა სელექციის პროცესით დაიწყო, რაც შერჩევას და შემდგომ ხელოვნური განაყოფიერების/შეჯვარების გზით, ჭიშების გაუმჯობესებას, ისევე როგორც, ახალი ჭიშების გამოყვანას გულისხმობს. აღნიშნულ პროცესები საერთაშორისო ტექნოლოგიების ჩარევით და ზედამხედველობით განხორციელდა. შედეგად,

ლორის ფერმის შემთხვევაში, განხორციელდა მანამდე გაიშვიათებული ჯიშის - „კახური ლორის“ - შეჯვარება უცხოურ ჯიშებთან და მოხდა ადგილობრივ გარემო-პირობებზე მორგებული ჰიბრიდული ჯიშების გამოყვანა, რომლებიც მეტი პროდუქტიულობით გამოირჩევა ვიდრე მანამდე ფერმაში არსებული სხვა სახეობები. საქონლის ფერმის შემთხვევაშიც, საწარმოს დაფუძნებიდან პირველი 5 წელი გენეტიკის სელექციის პროცესს დაეთმო და განხორციელდა შვეიცარიული „შვიცისა“ და „სიმენტალის“ ჯიშების შეჯვარება ადგილობრივ ჯიშებთან. ამჟამად ფერმა მე-5 თაობის გამოყვანის ეტაპზეა, რაც, საწარმოს წარმომადგენლის ინფორმაციით, საკმარისი დროა ადგილობრივ პირობებზე მორგებული წმინდა ჰიბრიდული ჯიშის მისაღებად. ფერმის მმართველი რგოლის მიზანია ახალი, სელექციით მიღებული ჯიში, დასახელებით „კავკასიური შვიცი“, დაარეგისტრირონ „საქპატენტში“, თუმცა ფერმის წარმომადგენლის ინფორმაციით აღნიშნული პროცესი მეტად გრძელვადიანი და კოპლექსური გამოდგა.

საველე კვლევის ფარგლებში გამოკითხულ საწარმოებს შორის, „ინოვაციური“ პროდუქტებით გამოირჩევა ასევე ონის მუნიციპალიტეტში არსებული ძმრის საწარმო, რომელიც ჟოლოს, ღვინის, თაფლის და ანწლის ძმრის პროდუქტებს აწარმოებს. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს მეორადი დაძმარებით მიღებულ სპეციფიკურ, „ნიშურ“ პროდუქტებს, რომლებსაც ქართულ ბაზარზე პირდაპირი კონკურენტები არ ჰყავთ. საწარმო მცირე მეწარმეობის ხელშემყოფი რამდენიმე პროგრემის ბენეფიციარია. პროდუქციის რეალიზაციას კი, როგორც ადგილობრივად, ისე დედაქალაქში, რამდენიმე სუპერმარკეტის ქსელში და საკვები და განთავსების სექტორში (HORECA) ახორციელებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეგიონში განსაკუთრებით დაბალია დიგიტალიზაციის დონე. სახელდობრ, ელექტრონულ კომერციას, რომელიც ქვეყანაში განსაკუთრებით აქტუალური COVID-19 პანდემიის შემდეგ გახდა, გამოყენება არ აქვს. გამოკითხული საწარმოების აბსოლუტურ უმეტესობას არ აქვს საწარმოს რესურსების მართვის ელექტრონული ERP⁷ სისტემა ან კლიენტებთან ურთიერთობის მართვის CRM⁸ პროგრამები.

6.4. ბაჟიდვები და მარკეტინგი

მეცხოველეობის დარგში მერძეული მიმართულებით ფერმერები რძეს და რძის პროდუქტების რეალიზაციას ძირითადად, პირდაპირი კომუნიკაციის გზით, ადგილობრივ მოსახლეობაზე ახორციელებენ. აღნიშნულ ფერმერებს მარკეტინგული აქტივობა ჯერ არ განუხორციელებიათ და მათთვის ამ ეტაპისთვის არარელევანტურია, რადგან ამჟამად ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოთხოვნა სოფლის რძის პროდუქტებზე მნიშვნელოვნად აჭარბებს მიწოდებას და საწარმოო სიმძლავრეები ჯერ-ჯერობით წარმადობის გაზრდის შესაძლებლობას არ იძლევა.

მელორეობის ფერმერები პროდუქტის რეალიზებას ასევე ადგილობრივ ბაზარზე (ადგილობრივი მოსახლეობა, დამსვენებლები) ახორციელებენ, თუმცა ორგანიზებულ ფერმებს გაყიდვების აწყობილი ჯაჭვი აქვთ. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ლორის ცოცხალი ხორცის გარდა, ყველა სხვა ხორცის პროდუქტი ონის მუნიციპალიტეტის ბაზარზე და ზოგადად რაჭის რეგიონში საცალო ან საბითუმო სავაჭრო ობიექტებში არ იყიდება. აღნიშნული საწარმოები საკუთარ სავაჭრო მაღაზიებში და ბრენდულ ქსელებში ახდენენ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციას. რაც შეეხება, HORECA სექტორს, გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, გაყიდვის ეს არხი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 30%-ს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ პირუტყვის ფერმას უკვე აქვს თანამშრომლობის გამოცდილება უწერის ერთ-ერთ განთავსების ობიექტთან, რომელსაც ცოცხალ და დამუშავებულ ხორცის პროდუქტებს აწვდის. რაც შეეხება ცოცხალი ცხოველების რეალიზაციას ორგანიზებული ფერმებიდან, აღნიშნული პრაქტიკა მხოლოდ ლორების და გოჭების მიმართულებით არსებობს და საბოლოო მომხმარებელი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა.

⁷ Enterprise resource planning - საწარმოო რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამა

⁸ Customer relationship management - მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯერული პროგრამა

მეფუტკრეობის დარგშიც ანალოგიურად, წარმოებული თაფლის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება და მთლიანი საწარმოო სიმძლავრეები ადგილობრივ მოთხოვნა-მიწოდებას აბალანსებს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, გადაჭარბებული წარმოების შემთხვევაში (და ასეთი პრეცედენტები არაერთი არსებობს) ონის მუნიციპალიტეტში არსებული ფერმერები, ადგილობრივი ბაზრის გაჯერების შემდეგ, რეალიზაციის პრობლემებს აწყდებიან, რაც, ერთი მხრივ, ამ დარგისთვის გაყიდვების კუთხით დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

ვაშლის ძმრის საწარმო პროდუქციის სარეალიზაციოდ მომარაგებას დედაქალაქში არსებულ რამდენიმე ბრენდირებულ სუპერმარკეტების ქსელში საკუთარი ძალებით ახორციელებს. თუმცა, გამოკითხულმა რესპონდენტმა უდიდესი წუხილი გამოთქვა საცალო ქსელების მიერ განსაზღვრული გარიგების არახელსაყრელი პირობების გამო.

კულტივირებული კენკრის და ჩირის მხარმოებლები პროდუქციის რეალიზაციას ასევე ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებენ, თუმცა გამოკითხულთაგან ერთ-ერთს, განვითარების მომდევნო ეტაპზე, გეგმაში აქვს ჩირის სპეციალური შესაფუთი მასალების გამოყენებით პროდუქტის დედაქალაქში გაგზავნა და გაყიდვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არამერქნული ტყის პროდუქტების შემგროვებლები პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად ონში არსებულ შემგროვებელ პუნქტში ახორციელებენ, რომელიც შემდგომ ამბროლაურში არსებულ არამერქნული, ბიო სერტიფიცირებული, ტყის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოში იგზავნება. ეს უკანასკნელი კი, წარმოებულ ბიო პროდუქციას მთლიანად ექსპორტზე აგზავნის ევროკავშირში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ონის მუნიციპალიტეტში არსებულ პირველადი და გადამამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში გამოკითხულ საწარმოებს შორის ელექტრონული კომერციის გზით პროდუქციის რეალიზაცია არ ხორციელდება.

და ბოლოს, გამოკითხულ საწარმოებს შორის, ამ ეტაპისთვის არცერთს განუხორციელებია ექსპორტი. თუმცა, ჩამოთვლილ პროდუქტთაგან, სავლელ კლვევის განხორციელების ეტაპზე, ექსპორტის განსაკუთრებული პოტენციალით დაინტერესებული მხარეები შემდეგ პროდუქტებს გამოარჩევენ: თაფლი, არამერქნული ტყის პროდუქტები, ხილის ძმარი, და კულტივირებული კენკრა. ჩამოთვლილთან თაფლი და არამერქნული ტყის პროდუქტები ექსპორტის მიზნებისთვის შედარებითი უპირატესობით საგებლობენ, რადგან სხვა პროდუქტებისგან განსხვავებით, ბიო სერტიფიცირების დიდი პოტენციალით გამოირჩევიან.

6.5. ბიზნეს რესურსები

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ 2016-2018 წლებში, ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, პირველადი და გადამამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში, დაფინანსება მიიღო 21-მა მენარმემ, ჯამში 124,000 ლარის ოდენობით. მოცემული თანხის უმეტესი ნაწილი მენარმეებს გადაეცათ 2016 ან 2017 წლებში, შესაბამისად 42.9 და 44.4 პროცენტული წილის ოდენობით. მოცემული სახელმწიფო პროგრამის შედეგად, ონის მუნიციპალიტეტში შეიქმნა 55 ახალი სამუშაო ადგილი, რომელთა უმეტესობაც საკონდიტრო/საცხობის სფეროებს უკავშირდებოდა.

ხარისხობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების მიერ ბიზნეს რესურსების ნაწილში გაზიარებული ინფორმაცია ძირითადად დაკავშირებული იყო ინტელექტუალურ და ფინანსურ მხარდაჭერასთან, რომლებსაც მენარმეები იღებენ გრანტების, შეღავათიანი სესხების ან სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. გამოკითხული რესპონდენტები აქცენტებს აკეთებდნენ, ასევე, წარმოების გაფართოების შესაძლებლობებზე და კომპანიაში ინვესტიციების განხორციელების არსებულ გეგმებზე.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის ერთ ნაწილს აქტიურად უსარგებლია სახელმწიფოს, თუ დონორი ორგანიზაციების მხარამჭერი პროგრამებით, თუმცა მეორე ნაწილი ასეთი პროგრამებით არ სარგებლობს. ეს უკანასკნელი, ჩვენი მოსაზრებით, ძირითადად შესაძლოა განპირობებული იყოს ცნობიერების დაბალი დონით არსებული პროგრამების შესახებ, ისევე როგორც სუსტი კავშირებით და დიალოგით შესაბამის უწყებებთან. გარდა ამისა, უმეტესი გამოკითხული რესპონდენტი აღნიშნავს, რომ იმის მიუხედავად, რომ სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები უხვადაა (როგორც სახელმწიფო, ისე დონორი ორგანიზაციების), ისინი ნაკლებადაა მორგებული მუნიციპალიტეტზე და მეტ მისადაგებას საჭიროებს მთიანი რეგიონის პირობებთან, ისევე როგორც, სამიზნე რეგიონში წარმოდგენილ ძირითად ეკონომიკურ საქმიანობებთან.

გამოკითხულ საწარმოებს შორის გამოიკვეთენ ისეთი მენარმეებიც, რომლებმაც არააერთი მცდელობის მიუხედავად ვერ მოახერხეს გრანტის მოპოვება (მაგლითად სააგენტოსგან „აწარმოე საქართველოში“), რაც ძირითადად იმ მიზეზით აიხსნება, რომ ასეთ აპლიკანტებს დამოუკიდებლად აპლიკაციების სრულფასოვნად შევსების და ბიზნეს გეგმების მომზადების დაბალი უნარები აქვთ. ამ პრობლემის შესახებ თავად გამოკითხულმა რესპონდენტებმა აღნიშნეს.

კვლევაში მონაწილე მენარმეების აბსოლუტური უმრავლესობა მოგების რეინვესტირებას ახალი მანქანა-დანადგარების შეძენაში და საწარმოო სიმძლავრეების გაზრდაში აპირებს.

6.6. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები (Strength)	სუსტი მხარეები (Weaknesses)
<p>მეცხოველეობა</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეურნეო საქმიანობის დიდი ისტორიისა და ტრადიციის მქონე რეგიონი • ხელსაწყვილი და მდიდარი კლიმატური პირობები მეცხოველეობის გასაავითარებლად • რეგიონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ხორცის და რძის პროდუქტები • სელექციის მეთოდით გამოყვანილი ახალი, მეტად პროდუქტიული ჰიბრიდული ჯიშები (საქონელი, ღორი); • ტრადიციული, საქვეყნოდ ცნობილი და მაღალი რეპუტაციის მქონე პროდუქტები (მაგალითად „რაჭული ღორი“); • მაღალპროდუქტიული მესაქონლეობა (მერძეული და მებორცული მიმართულება) 	<p>მეცხოველეობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ნედლი რძის დეფიციტი • დაბალი ხელმისაწვდომობა ადგილობრივი წარმოების ხორცის პროდუქტებზე • დაბალი ინტერესი ახალგაზრდებში მეცხოველეობის დარგის მიმართ • ზოგადად დაბალი მოტივაცია მოსახლეობაში მეცხოველეობის მეურნეობის გასაავითარებლად • დაბალი ხელმისაწვდომობა ვეტერინარის მომსახურებაზე • დაბალი ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე • შეზღუდული ხელმისაწვდომობა საწარმოო აღჭურვილობებზე (მაგ. რძის წარმოებისთვის) • დაბალი ცნობადობა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ • გავრცელებული დაავადებები (მელორეობა) • ახალი სელექციური ჯიშების დარეგისტრირების პროცესის კომპლექსურობა

მეფუტკრეობა

- მეფუტკრეობის დიდი ისტორიისა და ტრადიციის მქონე რეგიონი
- რაჭის ეკოლოგიურად სუფთა გარემო ნატურალური თაფლის წარმოებისთვის
- ნატურალური თაფლის წარმოების მზარდი ტენდენცია
- სიცოცხლისუნარიანი და პროდუქტიული ფუტკრის ადგილობრივი ჯიში
- ფუტკრის მოვლა-მოშენების არსებული კომპეტენცია თანამედროვე მეთოდების გამოყენებით
- სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული გადამზადების ინტენსიური კურსები
- მაღალი ინტერესი ახალგაზრდებში მეფუტკრეობის მიმართ
- ნატურალურ რაჭულ თაფლზე ადგილობრივ ბაზარზე მაღალი მოთხოვნა
- ბიო სერტიფიცირებული ფიჭის საწარმოს დაფუძნების არსებული ინიციატივები
- მენარმეთა მზაობა ურთიერთთანამშრომლობისთვის
- სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის მონიტორინგის პოლიტიკა თაფლის ხარისხის პერიოდული კონტროლის თვალსაზრისით (რიგის ლაბორატორიის მაგალითი, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს განახლებული ლაბორატორია)
- მაღალი ღირებულების ბაზრებზე მოთხოვნადი პროდუქტები (ევროკავშირის და სხვ.)
- დონორთა მაღალი დაინტერესება, განხორციელებული და არსებული პროექტები მეფუტკრეობის დარგის გასავითარებლად

კულტივირებული კენკრა; არამერქნული ტყის პროდუქტები. ხილის სხვა პროდუქტები

- დაბალი მოტივაცია მოსახლეობაში არამერქნული ტყის პროდუქტების შეგროვების მიმართულებით
- შეზღუდული ინტელექტუალური მხარდაჭერა შემგროვებლებისთვის
- საწარმოო ალტურვილობების ნაკლებობა
- ტრანსპორტირების სირთულე მიუვალ ადგილებში არამერქნული ტყის პროდუქტების შესაგროვებლად
- საშუალოვადიან პერიოდში სამაცივრე აგრიგატების აუცილებლობა კულტივირებული კენკრისთვის
- მაღალი საოპერაციო ხარჯები
- კულტივირებული კენკრის მოვლა-განვითარებისთვის საჭირო დაბალი უნარები

ბოგადი

- ექსპორტის არ არსებობა
- ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის დაბალი მოტივაცია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების თვალსაზრისით
- მაღალი ტექნიკური და მატერიალური ბარიერები ადგილობრივ ქსელურ და საცალო ქსელებში შესასვლელად
- დაბალი ინტერსექტორალური კავშირები (საკვები მომსახურების და განთავსების სექტორი)
- ტრანსპორტირების მაღალი ხარჯები
- მუნიციპალიტეტზე მორგებული და ძირითად ეკონომიკურ საქმიანობასთან მისადაგებული მხარდამჭერი პროგრამების აუცილებლობა;
- დაბალი ინფორმირებულობა სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ხელშემწყობი პროგრამების შესახებ
- შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსებზე
- სახელმწიფოს მრადამჭერი პროგრამების ბენეფიციარი მენარმეების გაუმჯობესებული შეფასება და მონიტორინგის აუცილებლობა
- ბიზნეს გეგმის შედგენის, ფინანსური და მარკეტინგული ანალიზის უნარების ნაკლებობა
- სექტორის სეზონურობა

კულტივირებული კენკრა; არამერქნული ტყის პროდუქტები. ხილის სხვა პროდუქტები

- სრულად ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქტები - კენკრა (ევროკავშირის და სხვა მაღალი ღირებულების ბაზრებზე)
- წარმატებული კოოპერატივების მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებაში არამერქნული ტყის პროდუქტების შეგროვებისთვის;
- რეგიონულად წარმოდგენილი ექსპორტზე ორიენტირებული წარმატებული გადამამუშავებელი საწარმოები
- ინოვაციური და ნიშური პროდუქტები (ხილის ძმარი)
- სრულად ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება წარმოებაში
- ადვილად მისაღწევი ბიო/ორგანული სერტიფიცირება (არამერქნული ტყის პროდუქტები)
- სტაბილური ხარისხი, სტაბილური დამატებითი შემოსავლის წყარო სემონურად (არამერქნული ტყის პროდუქტები)
- კულტივირებული კენკრის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები

საერთო

- ევროკავშირისთვის პრიორიტეტული რეგიონი
- საჩხერე-ონის ახალი სამანქანო გზის ამოქმედება
- გაზრდილი ტურისტული ნაკადები

შესაძლებლობები (Opportunities)

მეცხოველეობა

- ვაქცინა დაავადებების პრევენციისთვის (მელორეობა)
- აღჭურვილობაზე და ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა
- საკალმახე მეურნეობების მოწყობა
- გაზრდილი ინტერსექტორალური თანამშრომლობა ადგილობრივ სტუმართმასპინძლობის სექტორთან

საფრთხეები (Threats)

მეცხოველეობა

- იმპორტირებული დაბალი ხარისხის ხორცის პროდუქტების დომინირება ბაზარზე;
- იმპორტირებული დაბალი ხარისხის, ისევე როგორც ფალსიფიცირებული რძის პროდუქტები
- დაავადებების გავრცელების პოტენციური საფრთხე

მეფუტკრეობა

- იმპორტირებული ან/და ადგილობრივი წარმოების დაბალი ხარისხის (მათ შორის ფალსიფიცირებული) თაფლის დომინირება ბაზარზე, ხარისხის არასათანადო კონტროლის გამო
- ფუტკრის დაავადებების გავრცელების პოტენციური საფრთხე

<p>მეფუტკრეობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ნატურალურ და ბიო სერტიფიცირებულ თაფლზე მზარდი მოთხოვნა გლობალურ მაღალი ღირებულების საექსპორტო ბაზრებზე (იაპონია, ევროპა, აშშ) • ყვავილის მტვრის, დინდგელის, ფუტკრის რძისა და ფუტკრის შხამის წარმოება და რეალიზაცია. • ადგილობრივ ბაზარზე არსებული და აუთვისებელი პოტენციალი • აგრო და სოფლის ტურიზმი - ტურების ორგანიზების შესაძლებლობა საფუტკრეში <p>კულტივირებული კენკრა; არამერქნული ტყის პროდუქტები. ხილის სხვა პროდუქტები</p> <ul style="list-style-type: none"> • მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია გლობალური ბაზრებზე კულტივირებულ კენკრაზე და ორგანულ არამერქნულ ტყის პროდუქტებზე. • კულტივაცია ველურ პირობებში (მაგ. კულტივირების იაპონური მეთოდი) <p>საერთო</p> <ul style="list-style-type: none"> • რაჭა ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მზარდი ტურისტული პოტენციალი • თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები: ევროკავშირი, ჩინეთი, დსთ, EFTA. 	<ul style="list-style-type: none"> • ანტიბიოტიკების აქტიური გამოყენების საფრთხე • ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდების დროს ფუტკრის ოჯახების შესაძლო დაზიანების საფრთხე <p>კულტივირებული კენკრა; არამერქნული ტყის პროდუქტები. ხილის სხვა პროდუქტები</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფლიდან ქალაქებში მიგრაცია; • ტყის ფონდების ბიომრავალფეროვნების დარღვევა; • კლიმატის ცვლილება - არსებული არამერქნული ტყის პროდუქტები ხელმისაწვდომობის შემცირება • გარემოს დაბინძურება. <p>საერთო</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეების მიგრაცია • ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან • მაღალი ინფლაცია • კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატაკლიზმები • გარემოს დაბინძურება • სხვა გარე ფაქტორები: პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, საომარი ვითარება.
---	--

7 თანამშრომლობა პირველადი და გადაამუშავებული საკვები პროდუქტების კლასტერში

7.1. კონკურენცია

მეცხოველეობა

მერძეული მიმართლების მესაქონლეობაში არსებული მეწარმეები კონკურენტებად ადგილობრივ ნატურალური რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელ ფერმერებს მიიჩნევენ. თუმცა, უმეტესი მათგანის ინფორმაციით, არსებული კონკურენცია ჯანსაღია და ფერმერები ერთმანეთს არათუ პრობლემებს უქმნიან, არამედ ურთიერთ დახმარებაშიც არიან ჩართულები. მეხორცეული მიმართლების მესაქონლეობაში, ისევე როგორც მეღორეობის მიმართლებით გამოკითხული შედარებით დიდი ზომის ფერმეები პირდაპირ კონკურენტებად არცერთ სხვა ფერმას და ხორცის გადამამუშავებელ საწარმოს არ განიხილავს, არამხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, არამედ საქართველოს მასტაბით. თუმცა, კომპანიის წარმომადგენლის ინფორმაციით, მაქსიმალურად ინარჩუნებენ ჯანსაღ და საქმიან ურთიერთობას დარგის სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ადგილობრივი მოსახლეობის ჩათვლით.

საკვები პროდუქტების წარმოება

ანალოგიურად, ხილის ძმრის მწარმოებელი საწარმოს ინფორმაციით, პირდაპირი კონკურენტები არ ჰყავთ, თუმცა გამოკითხული რესპონდენტის მხრიდან ერთ-ერთი ადგილობრივი კონკურენტის აღნიშვნა მაინც მოხდა, რომელიც მსავსი ძმრის პროდუქტებს აწარმოებს, მაგრამ რესპონდენტის მტკიცებით, ამ უკანასკნელის წარმოების და ხილის გადამამუშავების ტექნოლოგია, ისევე, როგორც საბოლოო პროდუქტის ინგრედიენტები, მნიშვნელოვნად განსხვავდება. კულტივირებული კენკრის და ჩირის წარმოებას რაც შეეხება, გამოკითხული რესპონდენტები ქართულ ბაზარზე არებულ ყველა მწარმოებელსა და იმპორტიორს კონკურენტებად განიხილავენ და მათივე ინფორმაციით, ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია. გამოკითხული საწარმოების შედარებითი უპირატესობა კი რეგიონის ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მოყვანილი ხილია.

თაფლის წარმოებას რაც შეეხება, ქართულ ბაზარზე ამ პროდუქტზე კონკურენცია განსაკუთრებით მაღალია. კონკურენტებად კი თაფლის ყველა მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანია მიიჩნევა. თუმცა რესპონდენტების ინფორმაციით, ბაზარზე ჯერ კიდევ ხშირია ფალსიფიცირებული პროდუქტის განთავსება, რაც არათანაბარი და არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში ამყოფებს სხვა ნატურალური თაფლის მწარმოებელ კომპანიებს.

7.2. ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა

მეცხოველეობა

ონის მუნიციპალიტეტის მერძეული მიმართლების მესაქონლეობაში წარმოდგენილ მეწარმეებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება არსებობს, თუმცა რიგი მაგალითების (მაგალითად საველე კვლევის დროს გამოკვეთილი არაერთი რძის და რძის პროდუქტების წარმომადგენელი კოოპერატივები) გათვალისწინებით, აღნიშნული თანამშრომლობა მეტწილად არაეფექტურია რეგიონში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეღორეობის მიმართლებით, არსებობდა თანამშრომლობის საკმაოდ მოქნილი და ეფექტური მოდელი, როცა შედარებით განვითარებული ფერმეები ადგილობრივ ფერმერებს მცირე ასაკის გოჭებს მიჰყიდოდა, ეს უკანასკნელი მას გამოზრდიდა და შემდეგ მომწოდებელი ფერმის სასაკლაოზე და გადამამუშავებელ საწარმოში, ცოცხალი ცხოველის (ცოცხალი ღორის) რელიზაციას ახორციელებდა. გამოკითხული

რესპონდენტების ინფორმაციით, ამ მოდელით მცირე ფერმერები მნიშვნელოვან საერგებელს ნახულობდნენ, თუმცა ბოლო დროს გააქტიურებული ღორის დაავადების გამო, თანამშრომლობის აღნიშნული გარიგებას პრაქტიკულად ადგილი აღარ აქვს. მეხორცული მესაქონლეობის ფერმერების ინფორმაციით, წარსულში, გარკვეული თანამშრომლობის საპილოტე მოდელები არსებობდა ადგილობრივი მეწარმეებისთვის მცირე ფერმების მოწყობისა და საქონლის გადაცემის მიმართლებით, თუმცა აღნიშნულმა თანამშრომლობამ არ გაამართლა და მიმწოდებელმა ფერმებმა გარკვეული ზარალიც კი ნახე.

საკვები პროდუქტების წარმოება

განსაკუთრებით საგულისხმოა მეფუტრეობის დარგში გაერთიანებული ადგილობრივი ოჯახური ფერმერების არსებული თანამშრომლობის კარგი გამოცდილება და დამატებით მიმღებლობა და ღიაობა საქმიანი კავშირების კიდევ უფრო გაღრმავების კუთხით. გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, რეგიონში თაფლის 20-30მდე კოოპერატივი არსებობს. მართალია უმეტესი მათგანი წარმატებული ვერ გამოდგა, თუმცა არსებობს წარმატებული მაგალითებიც. მათ შორის გამორჩეულია ონის მუნიციპალიტეტის გარეთ, კერძოდ, ამბროლაურში არსებული თაფლის კოოპერატივი, რომელიც უკვე წლებია წარმატებულად ოპერირებს და ბოლო დროს თაფლის ევროკავშირის ბაზარზე გატანც კი შეძლო, რაც უდიდესი წინაპირობაა რეგიონში, და ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით არსებული მეფუტრეობის სტიმულირებისთვის როგორც ინდივიდუალურად, ისე საწარმოთა გაერთიანებებისთვის.

კულტივირებულ კენკრის მწარმოებელ კომპანიებს შორის შედარებით სუსტი თანამშრომლობა იკვეთება და თანამშრომლობა მხოლოდ ინფორმაციის იშვიათად გაზიარებით შემოიფარგლება. ხილის ძმრისა და ჩირის საწარმოებს შორის თანამშრომლობის კავშირები არ დაფიქსირდა.

7.3. დამხმარე ინსტიტუტებს და ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამამუშავებელი კვების სექტორის საწარმოებს აქტიური თანამშრომლობა აკავშირებთ რეგიონში მომუშავე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ადგილობრივი ფერმერებისთვის, მეტწილად, თანამედროვე ტენოლოგიებისა და ცოდნის, სურსათის უვნებლობის სტანდარტების, წარმოების სერტიფიცირების ისევე როგორც, სოფ. მეურნეობის ტექნიკის, მანქანა-დანადარებისა და სხვადასხვა აღჭურვილობების გადაცემას ახორციელებენ. დონორ ორგანიზაციებს შორისაა UNDP, ევროკავშირი, USAID, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (JICA), ავსტრიის განვითარების სააგენტო, კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) და სხვები. გამოკითხული რესპონდენტების უმეტესი ნაწილის მოსაზრებით, განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტები საკმაოდ სასარგებლო იყო მათი საქმიანობისთვის. თუმცა, ნაწილის მტკიცებით, მუნიციპალიტეტში არსებული კერძო სექტორის მხარდამჭერი პროგრამების და ხელშემნობი ინიციატივების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მჭიდრო კავშირები ადგილობრივ მეწარმეებთან. საველე კვლების განხორციელების ეტაპზე, გამოიკვეთა მიკრო და მცირე მეწარმეების ხელშეწყობის მიმდინარე პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოს მასშტაბით არსებული მიკრო და მცირე ბიზნესების განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. პროგრამა ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება - ბიზნესის წამოწყებისთვის ან/და არსებული საწარმოს გაფართოება გადაიარაღებისთვის. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მიზნობრივი გრანტის გამოყოფა მაქსიმუმ 40 000 ლარის ოდენობით რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის. პროგრამის ფარგლებში გამიზნულია 300ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) პროგრამის განხორციელების პროცესში აქტიურადაა ჩართული.

აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი სს „საპარტნიორო ფონდი“, როგორც საინვესტიციო აქტორი ქვეყანაში, რომლის მიმდინარე პროექტს ონის მუნიციპალიტეტში წარმოადგენს სოფელ ღარში არსებული ღორებისა და გოჭების ფერმა. ფონდის ინფორმაციით, ფონდის პოტენციურ პროექტებს შორისაა, ონის მუნიციპალიტეტში კომბინირებული საწარმოს მშენებლობა, ისევე როგორც, მრავალძალთან ნოკა ფართობზე სპეციალური მცენარის მოყვანა, რომელიც კომბინირებული საკვების წარმოებაში გამოიყენება.

გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში, ონის მუნიციპალიტეტში მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, არაერთი პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ბიომეურნეობების ხელშემწყობი ორგანიზაცია „ელკანას“, „აფხაზინტერკონტის“, „მერსი კოოპსის“, „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ და სხვების აქტიური ჩართულობა რეგიონის განვითარებისთვის.

ასევე, საველე კვლევის დროს გამოკითხულმა რესპონდენტებმა არაერთხელ დადებითად მოიხსენიეს GRETA-ს მიმდინარე პროექტი, რომელიც ავსტრიის სააგენტოს მიერ ხორციელდება, ვროკავშირის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შვედეთის და ავსტრიის თანადაფინანსებით. პროექტის მიზანს წარმოადგენს რეგიონების ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და დამატებითი შესაძლებლობების გაზრდა 2 ძირითად სექტორში: ორგანული სოფლის მეურნეობა და სამთო ტურიზმი.

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის კავშირები გამოიკვეთა რეგიონში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტებთან. ერთ-ერთ საფინანსო ინსტიტუტში საკრედიტო განყოფილება გასულის წლის ზაფხულში შეიქმნა და არსებული საბანკო პროდუქტები მცირე სესხებისთვისაა გათვალისწინებული. აღნიშნული სესხებით, სოფლის მეურნეობის (მესაქონლეობა, მემცენარეობა, მევენახეობა) საწარმოები სარგებლობენ. გარდა ამისა, საფინანსო ინსტიტუტი ჩართულია კერძო სექტორის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში.

აღნიშნულ საფინანსო ინსტიტუტი ასევე მოიცავს სტარტაპების მხარდაჭერის საბანკო პროდუქტს, რომლის ფარგლებშიც სპეციალურ ელექტრონულ ვებ გვერდზე შესაძლებელია ბიზნეს იდეის დაფიქსირება და, გამოკითხული რესპონდენტის ინფორმაციით, მოწონების და შესაბამისი ეტაპების გავლის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება. ბენეფიციარ სტარტაპებს კი ეძლევათ საშუალებათა პერიოდი და რიგი პრივილეგიები (სესხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა, გადახდის მოქნილი გრაფიკი და ა.შ). თუმცა, ფინანსური ინსტიტუტის წარმომადგენლის ინფორმაციით, სტარტაპების მხარდაჭერის არსებული პროდუქტების შესახებ ცნობიერება საკმაოდ დაბალია ადგილობრივად.

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორის საწარმოებსა და რეგიონული მასშტაბით (ამბროლაური) მდებარე პროფესიული სასწავლებელ „ექვანს“ შორის თანამშრომლობის გარკვეული კავშირები გამოიკვეთა. მათ შორის, აღსანიშნავია ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შარდომეთში არსებული პირუტყვების ფერმასთან თანამშრომლობა, რომელიც საწყის ეტაპზე აქტიურად დაიწყო, თუმცა, ფერმის წარმომადგენლის ინფორმაციით, საბოლოოდ, მოთხოვნილ და მიწოდებულ კომპეტენციებს შორის პრაქტიკული თანხვედრა სრულფასოვნად ვერ მოხდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კოლეჯის მიერ მოწონებული იქნა ონის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულ კლასტერებთან თანამშრომლობისა და ასოცირებული წევრობის იდეა. წარმომადგენლის მოსაზრებით, გაერთიანებულ კომპანიებთან თანამშრომლობა უფრო მოქნილი და მოსახერხებელი შესაძლოა გახდეს. მისივე მტკიცებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება სასწავლო პროგრამებში ახალი პროფესიების დამატებაც. და ბოლოს, ბიზნეს კლასტერების არსებობა პროფესიულ კოლეჯს მისთვის საინტერესო სექტორებში კვლევების ჩატარების პროცესს გაუიოლებს.

7.4. კოოპერაციის მატრიცა


მატრიცა	ძირითადი საწარმოები	ნედლეულის მიმწოდებლები	სახელმწიფო სააგენტოები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“	არასამთავრობო ორგანიზაციები	საფინანსო ინსტიტუტები	საპარტნიორო ფონდი	სოფლის განვითარების სააგენტო	ჯამი
ძირითადი საწარმოები	X	3	3	4	2	4	2	3	3	24
ნედლეულის მიმწოდებლები	3	X	3	3	2	3	2	0	3	21
სახელმწიფო სააგენტოები	3	3	X	4	3	2	4	2	4	25
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	4	3	4	X	2	5	0	2	4	24
პროფესიული კოლეჯი ერქვანი	2	2	3	2	X	3	0	1	2	15
არასამთავრობო ორგანიზაციები	4	3	2	5	3	X	1	0	2	20
საფინანსო ინსტიტუტები	2	2	4	0	0	1	X	1	4	14
საპარტნიორო ფონდი	3	0	2	2	1	0	1	X	3	12
სოფლის განვითარების სააგენტო	3	3	4	4	2	2	4	3	X	26
ჯამი	26	219	25	24	15	20	14	12	26	X

კოოპერაციის მატრიცის მიხედვით, კლასტერის წევრების და მხარდამჭერი ინსტიტუტების თანამშრომლობა აღწერილია ქვემოთ:

- კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა ნედლეულის მიმწოდებლებთან მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია.
- კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა სახელმწიფო სააგენტოებთან დამაკმაყოფილებელია.
- კლასტერის კომპანიების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობა მაღალია. გამოკითხულ რესპონდენტებს შორის არაერთს აქვს მიღებული დონორი ორგანიზაციების მხადაჭერა როგორც მატერიალური, ისე ინტელექტუალური ხელშეწყობის თვალსაზრისით.
- კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ არ არის მჭიდრო. აღნიშნული ერთი მხრივ განპირობებულია კომპანიების მხრიდან კოლეჯთან თანამშრომლობის ინიციატივების ნაკლებობით და პროფესიული განათლების კოლეჯთან გაუმჯობესებელი თანამშრომლობის აუცილებლობით.

- კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან მაღალია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო პერიოდში არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად ჩართული რეგიონში მდგრადი სოფ. მეუწეობის და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.
- კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა საფინანსო ინსტიტუტებთან არა არის მჭიდრო, რომელიც, ერთი მხრივ, განპირობებულია საფინანსო პროდუქტების შესახებ კერძო სექტორის დაბალი ინფორმირებულობით.
- კლასტერის წევრი კომპანიების თანამშრომლობა საპარტნიორო ფონდთან საშუალო დონეზეა. ფონდი არსებული პროექტების გარდა ონის მუნიციპალიტეტში გეგმავს სექტორისთვის რელევანტურ ახალ პროექტებში თანაინვესტირებას, რაც სამომავლოდ, კლასტერის წევრ კომპანიებთან გაზრდის კავშირებს.
- კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა სოფლის განვითარების საანენტოსთან საშუალო დონეზეა. განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, არაერთი პროექტი დაფინანსდა სოფლის განვითარების სააგენტოს მხრიდან, თუმცა, როგორც სავსე კვლევის დროს გამოიკვეთა, არსებული თანამშრომლობის გამჭობესება და კავშირების გამყარება მეტადაა შესაძლებელი.

7.5. კლასტერის რუკა



8 ბარიერების და შესაძლებლობების ანალიზი

8.1. გამოწვევები

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული საკვები პროდუქტების სექტორში გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები შეჯამებულია ქვემოთ:

- **შებლუდული ხელმისაწვდომობა მუშახელზე**

ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სექტორში, ერთი მხრივ გამოიკვეთა კვალიფიციურ კადრებზე შებლუდული ხელმისაწვდომობის პრობლემები, რომელთაგან განსაკუთრებით საგულისხმოა ადგილობრივი პროფესიონალი ვეტერინარის მოძიების გამოწვევა, რომელიც საგრძნობლად ზრდის მეცხოველეობის დარგში ცხოველთა არასათანადო მოვლის და შედეგად დაავადებათა გავრცელების რისკებს. მეორე მხრივ, ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის ზოგადად დაბალი მოტივაცია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების თვალსაზრისით, დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია.

- **პროფესიული განათლების კოლექთან გაუმჯობესებული თანამშრომლობის აუცილებლობა**

კერძო სექტორსა და რეგიონის პროფესიული განათლების კოლექთან არსებული თანამშრომლობის გაღრმავება მნიშვნელოვან პრიორიტეტად გამოიკვეთა. ერთ-ერთი გამოკითხული რესპონდენტის ინფორმაციით, პროფესიული განათლების სასწავლებელში არსებული საგანმანათლებლო მოდული და სილაბუსი სასწავლებლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს, თუმცა აღინიშნა არსებული პრაქტიკული უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების ეტაბზე და სამომავლოდ, კერძო სექტორსა და კოლექს შორის ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება ბიზნეს კლასტერების და, ზოგადად, პროექტის მიერ გამოვლენილი პრიორიტეტული სექტორების მდგრადი განვითარებისთვის.

- **დაბალი ცნობიერება სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ**

მიუხედავად სოფლის მეურნეობის დარგში უნარების განვითარების არაერთი წარმატებული ინიციატივისა (როგორც სახელმწიფო ისე დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით), სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შესაძლებლობების შესახებ ცოდნა და გამოყენება მუნიციპალიტეტში დაბალია.

- **მუნიციპალიტეტზე მორგებული სოფლის მხარდამჭერი პროგრამების აუცილებლობა**

დიაგნოსტიკურ კვლევაში ჩართული დაინტერესებული მხარეების უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ სოფლის და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისათვის არსებული მხარდამჭერი ინიციატივები, კონკრეტულ რეგიონზე მორგებული არ არის და მის გარეშე პირობებთან და ძირითად ეკონომიკურ საქმიანობასთან თავსებადი პროგრამების განვითარებას საჭიროებს.

- **ცხოველთა დაავადებების კონტროლის გაუმჯობესებული მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა**

გამომდინარე იქიდან, რომ გლობალურად გავრცელებულია ღორის აფრიკული ჭირის (ცხელება) დაავადება, და შესაბამისი ვაქცინა ამ დრომდე არ არის ხელმისაწვდომი, სექტორის დაინტერესებული მხარეები რეგიონებში დაავადების გავრცელების პრვენციისთვის უსაფრთხოების განსაკუთრებულად მკაცრი ზომების მიღების საჭიროებაზე მიუთითებენ.

- **ბარიერები ადგილობრივ სავაჭრო ქსელებში შესასვლელად**

სამიზნეს სექტორში მოქმედი ეკონომიკური ოპერატორების უმეტესობა მაღალ ტექნიკურ და მატერიალურ ბარიერებს აწყდებიან ადგილობრივ საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელებში შესასვლელად, პროდუქტის სათანადოდ პოზიციონირების და რელიზაციისთვის.

- **მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ცნობიერების გაზრდა და კოორდინაცია**

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ონის რეგიონში სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ხელშეწყობი პროგრამების შესახებ ცნობიერების გაზრდის, ისევე როგორც, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა თუ სახელმწიფოს მიერ გასახორციელებელი ინიციატივების შესახებ გაუმჯობესებული კოორდინაციის აუცილებლობა.

- **ბიზნეს გეგმის შედგენის, ფინანსური და მარკეტინგული ანალიზის უნარების ნაკლებობა**

სექტორის დიაგნოსტიკური კვლევის განხორციელებისას გამოვლინდა ისეთი მენარმეები, რომლებსაც სახელმწიფო მხარდამჭერ პროგრამებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უნარები ნაკლებად აქვთ, იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ ბიზნეს იდეის შესაბამისი ბიზნეს გეგმების შემუშავების და საგრანტო აპლიკაციის და დოკუმენტაციის მომზადებას ვერ ახერხებენ.

- **შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე**

პირველადი და გადამუშავებული საკვები პროდუქტების სექტორში წარმოდგენილ საწარმოებს არ გააჩნიათ სათანადო ფინანსური სიმყარე არებული საწარმოების და სათავსოების გაფართოების, წარმოების პროცესების მოდერნიზებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის. გარდა ამისა, უმეტეს მათგანს უჭირს საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად ხელმისაწვდომი საბანკო სესხების აღება.

- **სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების ბენეფიციარი მენარმეების პერიოდული მონიტორინგის აუცილებლობა**

საკვლე კვლევის განხორციელების ეტაპზე გამოვლინდა საგრანტო პროგრამებზე წარდგენილი ბიზნეს გეგმების შესაბამისობა დაფინანსებული საწარმოების რეალურ სიმძლავრეებთან. აღნიშნული კი აპლიკანტების მიერ გადაჭარბებულად შეფასებულ და გათვლილ ბიზნეს გეგმებს უკავშირდება. შედეგად, გამოიკვეთა სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების პოტენციურ ბენეფიციართა გაუმჯობესებული მონიტორინგისა შეფასების აუცილებლობა, შესაბამისი უწყებების მხრიდან.

- **ექსპორტის არ არსებობა**

ონის მუნიციპალიტეტის პირველად და გადამუშავებული კვების პროდუქტების ექსპორტზე გატანის პრეცედენტი არ დრომდე არ არსებობს, რაც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სტაბილური გაყიდვების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს. თუმცა, კვლევის ფარგლებში აღწერილ პროდუქტთაგან, ექსპორტის განსაკუთრებული პოტენციალის მქონე არაერთი პროდუქტში გამოვლინდა .

- **ინტერსექტორალური კავშირების გაუმჯობესების აუცილებლობა**

ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტების სექტორის კავშირები განთავსების და კვებითი მომსახურების, ისევე როგორც ზოგადად ტურიზმის ინსუსტრიასთან, ამ ეტაპისთვის სუსტია და გაუმჯობესებას საჭიროებს. პოტენციალი კი დიდი, განსაკუთრებით ადგილობრივი კულინარიის, ისევე როგორც აგროტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რომლებიც მაღალ მხარჯველი ტურისტებისთვის მოთხოვნად მიმართლებად რჩება.

8.2. კლასტერში ერთობლივი ქმედებების და თანამშრომლობის პოტენციალი

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების სექტორში გამოკითხული საწარმოების 85% თანამშრომლობის შესაძლებლობებს ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით ხედავენ:

- ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა
- კადრების კვალიფიკაციის ამაღლება
- სექტორისთვის რელევანტური სამუშაო ძალის განვითარება
- ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება და კომუნიკაცია
- პრობლემური საკითხების ადვოკატირება
- ექსპორტი

გამოკითხულთა 69% მიიჩნევს, რომ თანამშრომლობის პოტენციალი არსებობს საწარმოო ნედლეულის შესყიდვისა და ლოგისტიკის მიმართულებით. კომპანიათა 54% ფიქრობს, რომ თანამშრომლობა შესაძლებელია გაყიდვების, პროდუქტის ხარისხის ამაღლების, მარკეტინგისა და ბრენდინგის მიმართულებით.

თანამშრომლობის შედარებით ნაკლები პოტენციალი გამოვლინდა დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის (46%) და ფინანსების/ინვესტიციების მოზიდვის (46%) ნაწილში.

მთლიანობაში, შესაძლო თანამშრომლობის თემის განხილვისას, უმეტესად აქცენტები კეთდებოდა ცოდნის მიღების და ტექნოლოგიების გადაცემის ერთობლივ შესაძლებლობაზე, ისევე როგორც ექსპორტის მიმართულებით რესურსების შესაძლო გაერთიანების პოტენციალზე.

გარდა ამისა, გამოიკვეთა პოტენციური კლასტერის საწარმოების მათ მხარდამჭერ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავების და მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

ცხრილი 10: თანამშრომლობის და ერთობლივი ქმედებების პოტენციალი⁹

თანამშრომლობის სფერო	კი	არა
ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა	85%	15%
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	85%	15%
სექტორისთვის რელევანტური სამუშაო ძალის განვითარება	85%	15%
ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება და კომუნიკაცია	85%	15%
ფინანსების/ინვესტიციის მოზიდვა	46%	54%
გაყიდვები	54%	46%
პრობლემური საკითხების ადვოკატირება	85%	25%
საწარმოო ნედლეულის შესყიდვა	69%	31%
პროდუქციის ხარისხის ამაღლება	54%	46%
ლოგისტიკა	69%	31%

⁹ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად 13-მა საწარმომ დააფიქსირა შეხედულება თანამშრომლობის პოტენციური სფეროების შესახებ

მარკეტინგი და ბრენდინგი	54%	46%
დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოება	46%	54%
ექსპორტი	85%	15%

წყარო: კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

8.3. კლასტერის ხედვა

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების კლასტერის ხედვას წარმოადგენს: **მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, კლასტერის წევრი კომპანიების შემოსავლების ზრდა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.**

8.4. კლასტერის მიზნები

ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების კლასტერის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესება და სტიმულირება
- ბიო მეურნეობების ხელშეწყობა
- ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა
- ადგილობრივი წარმოების პროდუქტების პოპულარიზაცია და გაყიდვების სტიმულირება
- ადგილობრივი ინტერსექტორალური კავშირების გაუმჯობესება

ცხრილი 11: ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის მიზნები, აქტივობები ინდიკატორები

მიზანი	აქტივობა	ინდიკატორი	შედეგი
სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და უნარები გაუმჯობესება და სტიმულირება	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მოთხოვნილი და მიწოდებული კვალიფიკაციების შესაბამისობაში მოყვანა • სექტორზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. • კლასტერსა და „პროფესიული უნარების სააგენტოს“ შორის დიალოგის ინიცირება. პროფესიული განათლების სხვა პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. • კლასტერის წევრი საწარმოების ხელმძღვანელებისთვის მართვის უნარების გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ შეხვედრებისა და გამართული დისკუსიების რაოდენობა; • სექტორზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამა და გადამზადებული კადრების რაოდენობა • პროფესიული განათლების სხვა პროექტების ამსახველი საინფორმაციო მასალა • კლასტერის თანამშრომლობის ინიცირება პროფესიული განათლების სხვა პროგრამებთან • მართვის უნარების გაუმჯობესების ტრენინგების რაოდენობა 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ მჭიდრო და სტაბილური თანამშრომლობა • პროფესიული კოლეჯ „ერქვანის“ კლასტერის ასოცირებული წევრობა • კლასტერის წევრი კომპანიების თანამშრომლების გაუმჯობესებული პროფესიული უნარები. • კლასტერის წევრი კომპანიების დამფუძნებლების და მენეჯერების გაუმჯობესებული მართვის უნარები • კადრების მოძიების სულ მცირე 1 ახალი რეკრუტირებული ინსტრუმენტი

	<ul style="list-style-type: none"> • თარამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გადაცემა კლასტერის წევრებისათვის • ადგილობრივი კადრების მოძიების (რეკრუტინგის) პროცესის გაუმჯობესებისთვის ინსტრუმენტების შემუშავება 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული განათლების პროგრამების საშუალებით გადამზადებული კლასტერის წევრი კომპანიების თანამშრომლების რაოდენობა • ახალი ინსტრუმენტების რაოდენობა ადგილობრივი კადრების რეკრუტინგის პროცესის გასაუმჯობესებლად 	
ბიო მეურნეობების ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> • ბიო პოტენციალის მეორე ადგილობრივი წარმოშობის პროდუქტების იდენტიფიცირება • ადგილობრივი და სამიზნე საექსპორტო ბაზრების იდენტიფიცირება. ბიო ბაზრების მახასიათებლების კვლევა. • ბიო მეურნეობების ხელშეწყობა სხვა დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაცია. • ბიო სერტიფიცირებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების კლასტერის წევრებისთვის გადაცემა 	<ul style="list-style-type: none"> • იდენტიფიცირებული ბიო პროდუქტების სახეობა და რაოდენობა • იდენტიფიცირებული ბაზრებისა და მახასიათებლების კვლევის დოკუმენტი • შეხვედრების რაოდენობა. სხვა პროგრამების რაოდენობა. • ბიო წარმოების უნარების გაუმჯობესების სასწავლო კურსის სერტიფიკატების რაოდენობა. 	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის მიერ გამოვლენილი წევრი მენარმეების პოტენციური ბიო პროდუქტები • პოტენციურად მიმზიდველი ბაზრები და მათი მახასიათებლების შესახებ გაზრდილი ცნობიერება. • ბიო მეურნეობების სხვა ხელშეწყობი პროგრამების შესახებ გაზრდილი ცნობიერება. • ბიო წარმოებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარებს დაუფლებული კლასტერის წევრები.
ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	<ul style="list-style-type: none"> • რეგიონის კერძო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კლასტერის წევრებისათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება • სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან კლასტერის წევრებისათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება • ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით კლასტერის წევრების უნარების გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> • კომერცილ ბანკებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა • მენარმეებზე მორგებული საბანკო პროდუქტების რაოდენობა • კლასტერის გადამზადებული წევრი კომპანიების რაოდენობა • ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უნარების გაუმჯობესების მიმართულებით ჩატარებული სასწავლო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა 	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრი კომპანიების ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა • კლასტერის წევრ მენარმეებზე მორგებული მოქნილი საბანკო პროდუქტები. • მხარდამჭერი პროგრამების შესახებ გაზრდილი ცნობიერება და გაუმჯობესებული კოორდინაცია

	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრი მენარმეების საქმიანობის სპეციფიკაზე მორგებული საბანკო პროდუქტების შექმნის ინიცირება • ბიზნეს გეგმის მომზადების უნარების გაუმჯობესება • საინფორმაციო პლატფორმის შექმნა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერი პროგრამების შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო პლატფორმა 	
<p>ადგილობრივი წარმოების პროდუქტების პოპულარიზება და გაყიდვების სტიმულირება</p>	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრი მენარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზება სპეციალურად ორგანიზებულ გამოფენა/გაყიდვის ღონისძიებაზე თბილისში • ძირითად საცალო სავაჭრო ქსელებთან სამუშაო შეხვედრების ინიცირება და მოლაპარაკებების გამართვა კლასტერის წევრი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის ქსელში განთავსებისთვის • ელექტრონული კომერციის პლატფორმის შექმნის ინიცირება კლასტერის წევრი კომპანიების პროდუქციის ელექტრონულად რეალიზაციის უზრუნველსაყოფად 	<ul style="list-style-type: none"> • ჩატარებული გამოფენა/გაყიდვის ღონისძიება. • საცალო სავაჭრო ქსელებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა. • ელექტრონული კომერციის პლატფორმის შესაქმნელად გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამის IT დეველოპერთან. 	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრი მენარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ გაზრდილი ცნობადობა; • საქართველოს ძირითად საცალო ქსელებში განთავსებული კლასტერის წევრი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქცია. • კლასტერის წევრი კომპანიების შემოსავლის ზრდა საცალო ქსელებიდან მიღებული შემოსავლის მეშვეობით. • კლასტერის წევრების შემოსავლის ზრდა ელექტრონული კომერციის გაყიდვების ახალი არხის მეშვეობით.

<p>ადგილობრივი ინტერსექტორალური კავშირების გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრი კომპანიების, ონის მუნიციპალიტეტის საკვები მომსახურების და განთავსების (სტუმართმასპინძლობა) სექტორების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება; • სტუმართმასპინძლობის სექტორის ყველაზე მოთხოვნადი და კვების წარმოების სექტორისთვის რელევანტური პროდუქტებისა და სექრვისების გამოვლენა. • ინტერსექტორალური კავშირების დამყარება 	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრ კომპანიებსა და სტუმართმასპინძლობის სექტორს შორის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა. • შესწავლის შედეგად გამოვლენილი პროდუქტებისა და სერვისები რაოდენობა • კვების წარმოების სექტორის სანარმოების მიერ დამზადებული პროდუქტების ან/და განუული სერვისების რაოდენობა 	<ul style="list-style-type: none"> • გაზრდილი ადგილობრივი ინტერსექტორალური კავშირები კლასტერის წევრ კომპანიებსა და სტუმართმასპინძლობის სექტორთან • კლასტერის წევრების შემოსავლის ზრდა.
--	---	---	--



Research